

პირველი სექცია

საქმე დენის ვასილევს რუსეთის წინააღმდეგ
(**CASE OF DENIS VASILYEV v. RUSSIA**)

(განაცხადი no. 32704/04)

გადაწყვეტილება

17 დეკემბერი, 2009

საბოლოო ვერსია

17/03/2010

*გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის
შესაბამისად. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.*

საქმეზე Denis Vasilyev v. Russia

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (პირველი სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ქრისტოს როზაკისი, თავმჯდომარე,
ნინა ვაჯიჩი,
ანატოლი კოვლერი,
ელიზაბეტ შტაინერი,
დინ შპილმანი,
ჯორჯო მალინვერნი,
გეორგ ნიკოლაუ, მოსამართლეები,
და
სორენ ნილსენი, სექციის რეგისტრატორი,
მოითათბირა დახურულ კარს მიღმა 2009 წლის 26 ნოემბერს,
და ამავე დღეს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძლვად დაედო განაცხადი (no. 32704/04) რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოს წარუდგინა რუსეთის მოქალაქემ, ბ-ნმა დენის ვლადიმერის ძე ვასილევმა („განმცხადებელი“), 2004 წლის 23 ივლისს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენციის“) 34-ე მუხლის შესაბამისად.
2. განმცხადებელს სასამართლოში წარმომადგენლობისთვის სამართლებრივი დახმარება მიენიჭა¹, და მის ინტერესებს წარმოადგენდა ქ-ნი მ. ვოსკობიტოვა, მოსკოვის პრაქტიკოსი ადვოკატი. რუსეთის მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა ბ-ნი პ. ლაპტევი, რუსეთის ფედერაციის ყოფილი წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.
3. კერძოდ, განმცხადებელი ჩიოდა, რომ მასზე თავდასხმა არ გამოიძიეს ჯეროვნად, რომ ის გახდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი პოლიციის ოფიცრებისა და სამედიცინო პერსონალის მხრიდან – რაც ასევე არ გამოიძიეს – და რომ ის არ აღიარეს სამოქალაქო მხარედ სისხლის სამართალწარმოებაში.
4. 2006 წლის 4 აპრილს პირველი სექციის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ეცნობებინა მთავრობისათვის განაცხადის შეტანის შესახებ. ასევე გადაწყდა,

¹ სასამართლოს რეგლამენტის 108-ე წესი - მთარგმნელის შენიშვნა

რომ სასამართლო ერთდროულად იმსჯელებდა განაცხადის დასაშვებობასა და არსებით მხარეებზე (კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

5. მთავრობამ გააპროტესტა განაცხადის არსებითი მხარეებისა და დასაშვებობის ერთობლივი განხილვა. სასამართლომ განიხილა მთავრობის პროტესტი და უარყო იგი. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ იყო საქმეზე მოსმენის გამართვის აუცილებლობა (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი *in fine*).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი დაიბადა 1983 წელს და ცხოვრობს მოსკოვში.

A. თავდასხმა განმცხადებელზე და მისი მკურნალობა

1. თავდასხმა განმცხადებელზე და მისი მეგობარი

7. 2001 წლის 29 ივნისს განმცხადებელი და მისი სკოლის მეგობარი ბ-ნი N. ერთად ატარებდნენ საღამოს. დაახლოებით 23:30 სთ-ზე ისინი წავიდნენ ბ-ნი N.-ის სახლში, რადგან ბ-ნი N. დიაბეტიით იყო ავად და სჭირდებოდა ინსულინის ინექციის გაკეთება. ამის შემდეგ ისინი ტაქსით წავიდნენ განმცხადებლის ბინისკენ.
8. მათ თავს დაესხნენ, როცა ფეხით მიდიოდნენ შერბაკოვსკაიას ქუჩაზე, no. 16/18 სახლთან ახლოს, მოსკოვის აღმოსავლეთის ადმინისტრაციულ ოლქში. თავდამსხმელმა დაუძახა უკნიდან და, სანამ მობრუნდებოდნენ, ორივეს მძიმედ ჩასცხო თავში, რის შემდეგაც გონება დაკარგეს და დაეცნენ მიწაზე. მათ მოჰპარეს მნიშვნელოვანი ოდენობის თანხა, ოქროს სამაჯური და მობილური ტელეფონი.
9. მეზობლებმა დარეკეს „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებაში. 2001 წლის 30 ივნისს, 12:40 სთ-ზე შემთხვევის ადგილას მოვიდნენ პოლიციელები, ბ-ნი ჟაროვი და ბ-ნი ვოლკოვი. ისინი მუშაობდნენ მოსკოვის აღმოსავლეთის ადმინისტრაციული ოლქის პოლიციის მე-2 ბატალიონში და მათი მთავარი ფუნქცია იყო ბიზნესისა და კერძო საკუთრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა კომერციული კონტრაქტების საფუძველზე. ამას გარდა, ისინი მოქმედებდნენ, როგორც პატრულის თანამშრომლები ოლქში.
10. თავიანთი ჩვენების თანახმად, მათ გზაზე დაინახეს ორი ახალგაზრდა, რომლებიც ეგონათ ნასვამები. ერთი მათგანი იჯდა, მეორე კი ჯერ კიდევ იწვა. იქვე ჩანდა ნარწყევი. პოლიციელმა განაცხადა, რომ მან ვითარების შესახებ მოახსენა „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილების

თანამშრომელს და უთხრა, რომ საჭირო იყო სასწრაფო დახმარების ან გამოსაფხიზლებელი სამსახურის გამოძახება.

11. ამის შემდეგ პოლიციელმა გადაათრია უგონოდ მყოფი განმცხადებელი და მისი მეგობარი გზიდან no16/18 სახლის ეზოში. მთავრობის განცხადებით, პოლიციელმა განმცხადებელი და N. დატოვა ბალახის გაზონზე; განმცხადებელი კი ჩიოდა, რომ ისინი დააწვინეს „სველ ნაგავზე“. ამავე დროს არასაუწყებო დაცვის განყოფილების მორიგემ (дежурный по отделу вневедомственной охраны) აცნობა პოლიციის თანამშრომლებს, რომ შემოსულია სიგნალი და საჭიროა მისი შემოწმება. ეს ამბავი აცნობეს თანამშრომელს პოლიციის განყოფილებაში და დატოვეს შემთხვევის ადგილი.
12. დაახლოებით 19:00 საათისთვის მეუზოვეებმა ქ-ნმა E.-მ და ბ-ნმა B.-მ შენიშნეს ორი ახალგაზრდა კაცი, დავარდნილი ნაგვის ურნებიდან სამ-ოთხ მეტრში, და სცადეს მათი წამოყენება. თუმცა, ორივე უგონოდ იყო, ერთი კი, მუქი ფერის თმებით (ბ-ნი N.), ბურდღუნებდა გაუგებრად. მათ დაურეკეს სასწრაფო დახმარებას.
13. 20:00 საათზე მოვიდა ექიმი P. პირველი სასწრაფო დახმარების მანქანით. ორი მსხვერპლის დანახვაზე გამოიძახა მეორე მანქანა და მიადგა ბ-ნი N.-ს, რომელსაც მარცხენა ლოყაზე ჰქონდა ჭრილობა და ჰემატომა. როცა ბ-ნი N. გონზე მოვიდა, ექიმი P. დაეხმარა მანქანაში ასვლაში და წაიყვანა მოსკოვის no.1 საავადმყოფოში.
14. ამასობაში ექიმი Ch. მოვიდა სასწრაფო დახმარების მეორე მანქანით, ჯერ კიდევ უგონოდ მყოფი განმცხადებელი გადააწვინა მანქანაში და წაიყვანა მოსკოვის no. 33 საავადმყოფოში.

2. მკურნალობა no. 33 საავადმყოფოში

15. 21.05 საათზე, საავადმყოფოში მისვლისას, განმცხადებელს დაუდგინეს ალკოჰოლური ინტოქსიკაცია. აღნიშნეს დაზიანებები და ჭრილობები მაჯასა და შუბლზე. 2 საათის შემდეგ იგი გასინჯა ნეიროქირურგმა.
16. 2001 წლის 1 ივლისის 05:00 საათამდე განმცხადებელი ჯერ კიდევ უგონოდ იყო და იწვა საკაცეზე, ჩაცმული, საავადმყოფოს დერეფანში.
17. 06:30 საათზე მას გაუკეთეს სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია – თავის ქალის ორმხრივი ტრეპანაცია.
18. 2001 წლის 8 ივლისს განმცხადებლის დედამ მოიწვია კერძო ექიმი მისი ვაჟის გასასინჯად. ექიმმა განსაზღვრა, რომ განმცხადებლის მდგომარეობა სიცოცხლისათვის საშიში იყო. სასწრაფო დახმარების მანქანამ კომაში მყოფი განმცხადებელი გადაიყვანა მოსკოვის ბურდენკოს სამხედრო ჰოსპიტალში.

*3. მკურნალობა ბურდენკოს ჰოსპიტალში და ჯანმრთელობის
ნაწილობრივი გაუმჯობესება*

19. 2001 წლის 9 ივლისიდან 27 ივლისამდე განმცხადებელი იყო კომაში. 2001 წლის 25 ივლისს მას გაუკეთეს ტრაქეოტომია (ტრაქეაში ხელოვნური სასუნთქი გზის შექმნა ქირურგიული გზით) და ჩაუდგეს კანულა.
20. კომიდან გამოსვლის შემდეგ იგი გადაიყვანეს ნეიროქირურგიის განყოფილებაში, სადაც იმყოფებოდა 10 აგვისტომდე კრტიკულ მდგომარეობაში.
21. კანულას ამოღებამდე, 2001 წლის ოქტომბერში, და შემდეგ 2002 წლის დეკემბერში განმცხადებელმა გაიკეთა რამდენიმე ოპერაცია თავის ქალის ოსტეომიელიტის გამო.
22. 2001 წლის 1 ოქტომბერს სამედიცინო კომისიამ განმცხადებელი ცნო მეორე კატეგორიის ინვალიდად.
23. 2002 წელს განმცხადებელს განუვითარდა პოსტტრავმული კონვულსიური აშლილობა. 2003 წლის 13 ივნისს მას ჰქონდა შეტევა და გონება დაკარგა. იგი გადაიყვანეს ბურდენკოს ჰოსპიტალში და გაუკეთეს ოპერაცია თავის ქალის ჩირქოვანი აბსცესის გამო.

B. გამოძიება და სამართალწარმოება

1. გამოძიება თავდასხმის ფაქტზე (საქმე no. 073041)

24. 2001 წლის 30 ივნისსა და 1 ივლისს „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებამ no. 1 და 33 საავადმყოფოებიდან მიიღო სამედიცინო დასკვნები განმცხადებლისა და ბ-ნი N.-ის სხეულის დაზიანებათა შესახებ. პოლიციის განყოფილებაში მოკვლევების განყოფილების ხელმძღვანელმა სთხოვა ოპერატიულ მუშაკს, ბ-ნ ერმაკოვს, შეემოწმებინა ანგარიშები. შედეგად, შიდა მოკვლევამ (იხ. ქვემოთ) გამოავლინა, რომ ბ-ნმა ერმაკოვმა არ მიიღო არანაირი ზომა დანაშაულის სცენის შესამოწმებლად, მოწმეთა გამოსავლენად, ან მსხვერპლთა დასაკითხად.
25. 2001 წლის 6 ივლისს ბ-ნმა ერმაკოვმა მასალები გადაუგზავნა საგამოძიებო დეპარტამენტს, სადაც საქმე დააწერეს ოპერატიულ მუშაკს ბ-ნ აბდრიაევს. ამ უკანასკნელმა მასალებთან დაკავშირებით არ მიიღო არანაირი პროცედურული გადაწყვეტილება 2001 წლის 17 ივლისამდე.
26. 2001 წლის 18 ივლისს „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილების უფროსმა ჩაატარა შიდა მოკვლევა, რომელმაც გამოავლინა, რომ მოკვლევის ანგარიშებთან დაკავშირებით არაფერი იყო გაკეთებული. ორივე – ბ-ნი ერმაკოვიც და ბ-ნი აბდრიაევიც – დასაჯეს. იმავე დღეს დანაშაულის ადგილი შეამოწმეს პირველად. 2001 წლის 20 ივლისს დაიწყო სისხლის სამართალწარმოება განმცხადებელსა და ბ-ნ N.-ზე თავდასხმის გამო.

27. 2001 წლის 20 სექტემბერს ბ-ნმა დროზდოვმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ შეწყვიტა სისხლის სამართალწარმოება, რადგან დამნაშავის ამოცნობა არ მოხერხდა. გადაწყვეტილებაში მტკიცებულებების სახით იდო მხოლოდ პოლიციის ოფიცრების, ვოლკოვისა და ჟაროვის, სასწრაფო დახმარების ექიმისა და ბ-ნ N.-ის ჩვენებები.
28. 2001 წლის 16 ოქტომბერს გამომძიებელმა ბ-ნმა სალომკინმა გადაწყვიტა, ხელახლა გაეხსნა გამოძიება.
29. მოგვიანებით, 2001 წლის 29 ოქტომბერს, ცენტრალურ ფედერალურ რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ მისწერა განმცხადებლის დედას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი უსაფრთხოების დეპარტამენტმა განიხილა მისი საჩივარი გახანგრძლივებული სამართალწარმოების გამო. მან დაადგინა, რომ მოკვლევა არ ჩატარდა სათანადო დონეზე, არავინ მისულა დანაშაულის ადგილას, არ შეუმოწმებია ის და რომ არ გადადგმულა სხვა საგამომიებო ნაბიჯები. ოპერატიულმა მუშაკებმა, ბ-ნმა ერმაკოვმა და ბ-ნმა აბრამოვმა, მიიღეს გაფრთხილება.
30. 2001 წლის 16 ნოემბერს, 2012 წლის 6 იანვარს, 19 აპრილს, 13 ივნისსა და 15 აგვისტოს გამოსცეს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე, რადგან ვერ მოხერხდა მოძალადის გამოვლენა. ზედამხედველმა პროკურორებმა უარყვეს ეს გადაწყვეტილება და დაავალეს გამომძიებლებს, მიეღოთ დამატებითი საგამომიებო ზომები, როგორცაა მეზობელი სახლების დარაჯთა დაკითხვა, კაფე „კორონაში“ ღამის დარაჯის დაკითხვა და მოპარული მობილური ტელეფონის ზარების შემოწმება.
31. 2003 წლის 12 სექტემბერს საქმე გადაეცა მოსკოვის საქალაქო პოლიციის მთავარ საგამომიებო დეპარტამენტს.
32. მოგვიანებით, 2004 წლის 27 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომიებო კომიტეტმა განაცხადა, რომ გამოძიება საქმეების – no. 073041 და 1056 (იხ. ქვემოთ) – ჩატარდა არასათანადოდ და აღნიშნა:

„ამდენად, დადგინდა, რომ საწყის ეტაპზე საქმის no. 73041 გამოძიება ჩატარდა დაბალ პროფესიულ დონეზე და სისხლის სამართლის პროცესის წესების დარღვევით. სამართალწარმოება ბევრჯერ შეწყვიტეს უდროოდ იმ მოტივით, რომ ვერ გამოავლინეს პასუხისმგებელი პირი. მოსკოვის აღმოსავლეთის ადმინისტრაციული ოლქის „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებაში ზოგიერთი თანამშრომელი დასაჯეს დისციპლინური სასჯელით – სისხლის სამართლის პროცესის წესების დარღვევისა და გამოძიების არაადეკვატური მენეჯმენტისათვის. საქმის no. 1056 გამოძიებაც [სამედიცინო დაუდევრობა] ასევე შეჩერდა მნიშვნელოვანი შეცდომების გამო.

გამომიების ნაკლოვანებათა გათვალისწინებით და მოსკოვის ქალაქის პროკურატურის მითითებების შესაბამისად, ამჟამად გადაიდგმება

დამატებითი საგამომიებო ნაბიჯები და ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებები, რათა მრავალმხრივად და ამომწურავად შეისწავლონ მოვლენები და დააყენონ პასუხისმგებელ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.“

33. 2004 წლის 2 აპრილსა და 13 მაისს საზოგადოებრივმა პროკურორებმა შეცვალეს პოლიციის გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ და ბრძანეს განსაკუთრებული საგამომიებო ზომების გამოყენება.
34. 2004 წლის 4 ივნისს საქმე გადაეცა აღმოსავლეთის ადმინისტრაციული ოლქის პროკურატურას და დაეწერა გამომძიებელს ბ-ნ ვოლკს, რომელიც პასუხისმგებელი იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებზე. 2004 წლის 20 ივლისს, 30 იანვარს, 18 აგვისტოს, 2005 წლის 5 ოქტომბერს და 2006 წლის 27 მარტს ბ-ნმა ვოლკმა შეწყვიტა გამოძიება იმის საფუძველზე, რომ შეუძლებელი იყო თავდასხმაში დამნაშავის (დამნაშავეების) გამოვლენა. ეს გადაწყვეტილება შეცვალეს ზედამხედველმა პროკურორებმა.
35. ბ-ნი ვოლკის ბოლო გადაწყვეტილება გამოძიების შეჩერების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა სასამართლოსათვის, თარიღდება 2006 წლის 17 ივლისით. იგი ითვალისწინებდა იმ მტკიცებულებებს, რომლებიც მოგროვდა საქმეში.
36. გადაწყვეტილებაში აღინიშნებოდა, რომ ჩვენება აიღეს ორივე მსხვერპლისაგან – განმცხადებლისა და ბ-ნი N.-საგან, რომლებსაც არ ახსოვდათ თავდამსხმელი; მათი მეგობრებისაგან, რომლებსაც არ უნახავთ თავდასხმის სცენა; აგრეთვე, პოლიციის ოფიცრების, მეეზოვეებისა და ექიმებისაგან, რომლებმაც დაზარალებულები ნახეს თავდასხმის შემდეგ. სასამართლოს ექსპერტმა დაადგინა, რომ განმცხადებელმა მიიღო „სხეულის სერიოზული დაზიანებები“ და N.-მა – „სხეულის მსუბუქი დაზიანება“.
37. განმცხადებლის დედამ უამბო გამომძიებელს, რომ დანაშაულის ჩადენიდან მალევე იგი მივიდა „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებაში. პოლიციის ერთ-ერთმა ოფიცერმა, ხვეული თმითა და მეტსახელით „პუშკინა“, აღუწერა მას, რომ დაზარალებულები იპოვეს კაფე „კორონას“ მახლობლად. განმცხადებლის დედა წავიდა კაფეში და ელაპარაკა იქაურ თანამშრომლებს, რომლებმაც უთხრეს, რომ 2001 წლის 29-30 ივლისის ღამეს პოლიციის სამი ოფიცერი, სახელებით „საშა“, „სიდორი“ და „კოსტია“, იყვნენ ძალიან ნასვამები კაფეში, იქცეოდნენ აგრესიულად და ეძებდნენ ბარმენტან ჩხუბის მიზეზს. თუმცა, მათ არ დაუდასტურებიათ რაიმე ტიპის შეტაკება პოლიციის ოფიცრებსა და მის ვაჟთან, ან ბ-ნ N.-თან. გამომძიებელმა დაკითხა ასევე შვიდი ოფიცერი „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებიდან, რომლებმაც განაცხადეს, რომ ვერ იხსენებდნენ კაფეში ვიზიტის ფაქტს კონკრეტულად იმ ღამეს და არ იცნობდნენ „სიდორს“ ან „პუშკინას“. სამმა მათგანმა საერთოდ უარყო

ოდესმე კაფე „კორონაში“ ყოფნის ფაქტი, ხოლო დანარჩენმა ოთხმა თქვა, რომ დროდადრო დადიან ხოლმე იქ.

38. ბ-ნი N.-ის დედამ უთხრა გამომძიებელს, რომ მისმა ნახევრად უგონოდ მყოფმა ვაჟმა „პოლიციელებს“, რომლებმაც ჩაარტყეს თავში. ორი დღის შემდეგ მისი შვილის სანახავად მისული წააწყდა ორ, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ მამაკაცს, რომლებიც მისი შვილის საწოლთან იდგნენ, ანჯღრევდნენ მას და ეკითხებოდნენ, ახსოვდა თუ არა „პოლიციელები“, რომლებმაც სცემეს. დედამ ხმამაღლა გააპროტესტა ეს ფაქტი და მამაკაცები გავიდნენ დერეფანში, სადაც წარმოადგინეს თავიანთი საშვები და თქვეს, რომ იყვნენ პოლიციის ოფიცრები „სოკოლინაია გორას“ განყოფილებიდან, ბ-ნი დროჟინი და ბ-ნი კონოვალენკო. ერთმანეთს კი ეძახდნენ „პუშკინას“ და „დიმონს“. მათ თქვეს, რომ იძიებდნენ მის ვაჟზე თავდასხმის ფაქტს. გამომძიებელმა დაკითხა ბ-ნი დროჟინი, რომელმაც უარყო ოდესმე ბ-ნი N.-თან საავადმყოფოში მისვლის ფაქტი. ბ-ნი კონოვალენკოს დაკითხვა კი ვერ მოხერხდა.
39. გამომძიებელმა დაადგინა, რომ შეუძლებელი იყო თავდასხმაზე პასუხისმგებელ პირთა გამორკვევა. 2006 წლის 30 ნოემბერს ზედამხედველმა პროკურორმა გააუქმა ეს გადაწყვეტილება და დაავალა ბ-ნი ვოლკს, გამოერკვია აცდენები ჩვენებებში მოწმეთა დაპირისპირებით, აგრეთვე მოეძებნათ და დაეკითხათ პოლიციის ყოფილი ოფიცრები „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებიდან.

2. პოლიციის ოფიცრების, ჟაროვისა და ვოლკოვის წარმართული გამოძიება (საქმე no. 229337).

40. განმცხადებლის დედის საჩივრის კვალად, რომ პოლიციის ოფიცრებმა, ბ-ნმა ჟაროვმა და ბ-ნმა ვოლკოვმა, არასათანადოდ შეასრულეს თავიანთი მოვალეობები, ხოლო ექიმმა K.-მ არ აღმოუჩინა განმცხადებელს მისი მდგომარეობისათვის შესაფერისი დახმარება, 2002 წლის 6 იანვარს სისხლის სამართლის ძირითადი საქმიდან ამოიღეს ზოგიერთი მასალა დამატებითი მოკვლევისათვის.
41. 2002 წლის 13 მარტს გამომძიებელმა იზმაილოვსკის ოლქის პროკურატურიდან ბ-ნი N.-ის, განმცხადებლის დედის, ექიმების P.-ს, CH.-სა და K.-ს, ოფიცრების ჟაროვისა და ვოლკოვის ჩვენებებზე დაყრდნობით, გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ არ იყო კრიმინალური ქმედების ნიშნები, რადგან ექიმმა K.-მ სწორი დიაგნოზი დაუსვა განმცხადებელს და მიიღო ყველა საჭირო ზომა, ხოლო ოფიცრები „შეცდნენ კეთილსინდისიერად იმ საკითხში, რომ ბ-ნი ვასილევსა და ბ-ნი N.-ს შესწევდათ ძალა, მიეხედათ საკუთარი თავისათვის“.
42. 2002 წლის 15 მარტს ზედამხედველმა პროკურორმა გააუქმა ეს გადაწყვეტილება. მან დაადგინა, რომ დასკვნები პოლიციის ოფიცერთა

კეთილსინდისიერი შეცდომის შესახებ ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ ფაქტებს, რადგან განმცხადებელი იყო უგონოდ, როცა ისინი მოვიდნენ. სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, გამომძიებელმა პროკურორმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე (დანაშაულებრივი გულგრილობა, რასაც მოჰყვება მსხვერპლის სიკვდილი ან მძიმე დაზიანება). გამოძიება დაევალა იზმაილოვსკის ოლქის პროკურორს.

43. 2002 წლის 15 ივნისს და 26 ივლისს გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშანთა ნაკლებობის გამო. ეს გადაწყვეტილებები გააუქმეს უფრო მაღალი რანგის პროკურორებმა.
44. განუსაზღვრელ დღეს ოფიცრებს, ჟაროვსა და ვოლკოვს, ბრალი დასდეს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში – განმცხადებლისა და N.-ის საფრთხეში დატოვება.
45. 2002 წლის 5 სექტემბერს განმცხადებელს მიანიჭეს მსხვერპლის სტატუსი.
46. 2002 წლის 27 ნოემბერს განმცხადებელმა სთხოვა გამომძიებელს, დაეზუსტებინა ოფიცერთა ქმედების სამართლებრივი დახასიათება. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პოლიციის ოფიცრები ასრულებდნენ სამსახურეობრივ მოვალეობას და დაარღვიეს პოლიციის აქტის მოთხოვნები. ამ მიზეზით, ისინი უნდა გაესამართლებინათ სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – დანაშაულებრივი გულგრილობა მძიმე შედეგებით. იმავე დღეს განმცხადებელმა სთხოვა გამომძიებელს, რომ მისი სტატუსი ელიარებინათ, როგორც სამოქალაქო მხარისა. მის განცხადებაზე არის ხელმოწერა, რომელიც ადასტურებს, რომ გამომძიებელმა მიიღო იგი, მაგრამ არ არის ცნობილი, რა პასუხი გასცა მან განმცხადებელს ამ მოთხოვნაზე.
47. 2002 წლის 29 ნოემბერს გამოვიდა საბრალდებო დასკვნა ბ-ნ ჟაროვსა და ბ-ნ ვოლკოვზე. სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის მიხედვით, მსჯავრდება იყო ასეთი: ისინი იყვნენ მორიგე საპატრულო პოლიციის ოფიცრები, როცა მივიდნენ შემთხვევის ადგილას და იპოვეს ორი უგონოდ მყოფი კაცი. მათ იცოდნენ, რომ კაცები იყვნენ დაუცველნი და არ შეეძლოთ საკუთარი თავისთვის მიეხედათ. მიუხედავად ამისა, ვოლკოვმა და ჟაროვმა არ შეასრულეს თავიანთი სამართლებრივი ვალდებულება, რასაც ითვალისწინებს პოლიციის აქტი, წესდება პოლიციის პატრულისა და შიდა განაწესის შესახებ – დაიცვან დანაშაულისა ან უბედური შემთხვევის მსხვერპლნი, მოწამლული ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ გადაადგილება, და სხვა მოწყვლადი პირები. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ რეალური შესაძლებლობა, აღმოეჩინათ დახმარება, ვერ შეძლეს შეემოწმებინათ ან ამოეცნოთ მსხვერპლნი, გამოეძახებინათ სასწრაფო დახმარების მანქანა, აღმოეჩინათ პირველადი დახმარება ან გადაეყვანათ ისინი საავადმყოფოში, მოეძებნათ მოწმეები ან დაეცვათ შემთხვევის

ადგილი. ამის ნაცვლად, მათ გადაათრეს დაზარალებულები გვერდით და ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს ოფიცერს „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებაში, თითქოსდა მიიღეს ყველა სათანადო ზომა.

48. 2003 წლის 24 იანვარს მოსკოვის იზმაილოვსკის საოლქო სასამართლომ დანიშნა სამართლებრივი საქმის გახსნის თარიღი, 2003 წლის 7 თებერვალი. მოსამართლემ თითქოს უთხრა განმცხადებელს, რომ მისი მოთხოვნა, შეუერთდეს სამართალწარმოებას როგორც სამოქალაქო მხარე, განიხილება მოგვიანებით.

49. მოსმენები გაიმართა 2003 წლის 20 თებერვალს, 25 მარტს, 30 აპრილს, 23 ივნისს, 28 ივლისსა და 24 სექტემბერს.

50. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩამოართვა ჩვენება მეზობლად მცხოვრებთ, მეუზოვეებს ქ-ნ E.-სა და ბ-ნ B-ს, სასწრაფო დახმარების ექიმებს P.-სა და CH.-ს. მათ აღწერეს, რა მდგომარეობაში იპოვეს განმცხადებელი და ბ-ნი N. უფროსმა ოპერატიულმა მუშაკმა ბ-ნმა K.-მ, რომელიც მორიგეობდა „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებაში 2001 წლის 29–30 ივნისის ღამეს, განაცხადა, რომ სამორიგეო ჩანაწერების ჟურნალში არ არის დაფიქსირებული იმ ღამის სატელეფონო ზარი ორი ახალგაზრდა კაცის შესახებ შერბაკოვსკაიას ქუჩაზე. თუმცა, იგი ერთი საათით შეცვალა ოფიცერმა ბ-ნმა ვანჩარინმა. მანაც დაადასტურა, რომ არაუწყებრივი დაცვის სამსახურის (отдел вневедомственной охраны) პოლიციის ოფიცრები უპირატესობას უსაფრთხოების კოორდინატორის მითითებებს უფრო ანიჭებენ, ვიდრე პოლიციის განყოფილების მორიგე ოფიცრისას.

51. ოფიცერმა ვანჩარინმა დაადასტურა, რომ მან უპასუხა სატელეფონო ზარს ორ ახალგაზრდა კაცთან დაკავშირებით, მაგრამ არ შეუტანია სამორიგეო ჩანაწერების ჟურნალში, რადგან ზარი არ შემოსულა ავარიულ ხაზზე. იგი რაციით დაუკავშირდა არაუწყებრივი დაცვის სამსახურის პატრულის ოფიცრებს და უთხრა, რომ გადაემოწმებინათ ინფორმაცია. მათ უპასუხეს, რომ იპოვეს ორი მთვრალი კაცი და სიტუაცია კონტროლდებოდა. მან უთხრა, რომ გაეგრძელებინათ პატრულირება. უსაფრთხოების კოორდინატორმა დაუდასტურა სასამართლოს, რომ 1:44 საათზე მიიღო საგანგაშო სიგნალი და ოფიცრები, ვოლკოვი და ჟაროვი, გაუშვა შესამოწმებლად.

52. 2003 წლის 29 სექტემბერს საოლქო სასამართლომ გაამართლა პოლიციის ორივე ოფიცერი და შემთხვევა შემდეგნაირად შეაფასა:

„...სასამართლო მიიჩნევს: არ ჩანს, რომ ბრალდებულებს – ვოლკოვსა და ჟაროვს – სცოდნოდათ, რა მდგომარეობაში იყვნენ [განმცხადებელი და მისი მეგობარი], იყო თუ არა ის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, რადგან მათ მხოლოდ რამდენიმე წუთი დაჰყვეს შემთხვევის ადგილას, ისიც ღამით, და არც დაზიანებები იყო შესამჩნევნი. მათ გადაწყვიტეს, რომ [განმცხადებელი და მისი მეგობარი] იყვნენ ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ...

იმ საჩივრის საპასუხოდ, რომ ბ-ნმა ვოლკოვმა და ბ-ნმა ჟაროვმა მცდარი ინფორმაცია მიაწოდეს [მორიგე ოფიცერს], გამოძიება დაეყრდნო მხოლოდ მოწმის – ბ-ნი ვანჩარინის – ჩვენებას, რომელიც პოლიციის ოფიცერი კი იყო, მაგრამ არ ჰქონდა უფლება, მიეღო ინფორმაცია. თუმცა, ის ცვლიდა მორიგე ოფიცერს, რაც ეწინააღმდეგებოდა „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილების განაწესს...

ამგვარი ინფორმაციის მიღების შემდეგ მორიგე ოფიცერი მოვალე იყო, აღერიცხა შემოსული ინფორმაცია სარეგისტრაციო ჟურნალში, შეემოწმებინა იგი და ჩაეწერა შედეგები. სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგე ოფიცერს ევალებოდა, ვოლკოვისა და ჟაროვისაგან ინფორმაციის მიღებისთანავე – რომ ვითარება ექვემდებარებოდა კონტროლს – გადაემოწმებინა იგი და მოეპოვებინა დამარწმუნებელი ინფორმაცია ვითარების შესახებ. თუმცა, ვანჩარინმა ეს არ გააკეთა და არც ინფორმაცია ან შემოწმების შედეგები გადასცა ნამდვილ მორიგეს... ამდენად, სასამართლო ენდობა ბ-ნი ვოლკოვისა და ბ-ნი ჟაროვის ჩვენებებს, რადგან ამ ვითარებაში ბ-ნ ვანჩარინს არ ჰქონდა არანაირი ინტერესი, ეთქვა სიმართლე.“

53. 2004 წლის 17 თებერვალს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

3. სამედიცინო გულგრილობის გამოძიება (საქმე no. 1056)

54. 2001 წლის 14 აგვისტოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მთავარმა ექიმმა აცნობა განმცხადებლის დედას: დაიწყო შიდა მოკვლევა იმასთან დაკავშირებით, რომ სასწრაფო დახმარების ექიმმა განმცხადებელს დაუსვა დიაგნოზი მისი მეგობრის ჩვენების საფუძველზე. შედეგად, მან სათანადოდ ვერ შეაფასა მისი მდგომარეობის სიმძიმე. ექიმმა მიიღო მკაცრი დისციპლინური სასჯელი.
55. 2001 წლის 8 ნოემბერს, ასევე, 2002 წლის 8 თებერვალსა და 2 აგვისტოს საზოგადოებრივმა პროკურორებმა სხვადასხვა დონეზე აცნობეს განმცხადებლის დედას, რომ 33-ე საავადმყოფოს ექიმებმა ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც არ საჭიროებს სისხლის სამართლებრივ დევნას და ამიტომ უარი განაცხადეს სისხლის სამართალწარმოების დაწყებაზე.
56. 2002 წლის 4 იანვარს მოსკოვის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ წერილით დაადასტურა, რომ 33-ე საავადმყოფოში განმცხადებლისათვის აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შესწავლისას არ გამოვლინდა არანაირი ხარვეზი და შეცდომა.

57. განმცხადებლის დედის 2003 წლის 5 მარტის საჩივრის საფუძველზე, მოსკოვის ქალაქის პროკურორის პირველმა მოადგილემ შეცვალა 2002 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ითქვა სისხლის სამართალწარმოების დაწყებაზე, და დაავალა პრეობრაჟენსკის ოლქის პროკურორს, დაეწყო სისხლის სამართლის გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით (სამედიცინო დახმარების აღმოჩენა პაციენტისათვის, რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება).
58. 2003 წლის 15 ივნისს დაიწყო კომპლექსური სამედიცინო შემოწმება იმ მიზნით, რომ გამოერკვიათ, დაზიანდა თუ არა განმცხადებლის ჯანმრთელობა 33-ე საავადმყოფოში დაგვიანებული და არასათანადო სამედიცინო მომსახურების შედეგად.
59. 2003 წლის 7 ივლისს მუშაობა დაიწყო კომისიამ, რომელიც შედგებოდა 6 ექსპერტისაგან, თავდაცვის სამინისტროს სასამართლო მედიცინის 111-ე ცენტრიდან.
60. 2003 წლის 4 სექტემბერს გამომძიებელმა ბატონმა კირიჩევსკიმ შეწყვიტა სამართალწარმოება, რადგან პასუხისმგებელი პირი ვერ გამოვლინდა.
61. 2003 წლის 1 დეკემბერს ექსპერტთა კომისიამ წარმოადგინა თავისი დასკვნა, რომელიც ეყრდნობოდა 33-ე საავადმყოფოს სამედიცინო ჩანაწერებს (no. 23304) განმცხადებლის შესახებ, სისხლის სამართლის საქმის მასალებსა და დამსწრე ექიმების მოწოდებულ ინფორმაციას. კერძოდ, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ განმცხადებლის დაზიანებათა არასრული და წინააღმდეგობრივი აღწერა მისი 33-ე საავადმყოფოში მიყვანისას, შეუძლებელს ხდის განისაზღვროს ამ დაზიანებათა ზუსტი წარმომავლობა, მათი მიღების დრო და მიზეზი. მხოლოდ იმის დადგენაა შესაძლებელი, რომ მას თავში ჩაარტყეს მძიმე, ბლაგვი საგანი. გარდა ამისა, ბურდენკოს ჰოსპიტალში შემდგომი შემოწმებისას გამოვლინდა, რომ განმცხადებელს მოტეხილი ჰქონდა გულმკერდის 2 ნეკნი, რაც არ შეუმჩნევიათ 33-ე საავადმყოფოში, სადაც რენტგენული გამოკვლევა დაინიშნა, მაგრამ არ ჩატარებულა.
62. ექსპერტებმა გამოარკვიეს, რომ იმ მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც განმცხადებელი იყო საავადმყოფოში შემოსვლისას, ის დაუყოვნებლივ უნდა გაესინჯათ ნეიროქირურგსა და სხვა სპეციალისტებს თავის ქალისა და ტვინის ტრავმის, ასევე, ინტოქსიკაციის დიფერენციალური დიაგნოზისათვის, შესაბამისი სასწრაფო მკურნალობის დასანიშნად. თუმცა, ნეიროქირურგმა განმცხადებელი გასინჯა საავადმყოფოში მიყვანიდან 2 საათზე მეტი დაგვიანებით, ხოლო მომდევნო 32 საათის განმავლობაში იგი არ უნახავს არც ერთ სპეციალისტს, არც ანალიზები – სისხლისა და შარდის ძირითადი ანალიზებიც კი – აუღიათ. განმცხადებლისათვის ტემპერატურაც კი არ გაუზომავთ. ექსპერტებმა დაადგინეს შემდეგი:

„შემოსვლის მომენტიდან (2001 წლის 30 ივნისი, 09:05 სთ) ოპერაციისათვის მზადების დაწყებამდე (2001 წლის 1 ივლისი, 16:30 სთ) [განმცხადებელი] ჯეროვნად და ობიექტურად არ შეუმოწმებიათ, რეალური კლინიკური დიაგნოზი არ დაუსვამთ... და სათანადო სამედიცინო მკურნალობა არ დაუნიშნავთ... გახანგრძლივებულმა პასიურმა დაკვირვებამ, კლინიკური კვლევების გარეშე, გამოიწვია [განმცხადებლის] მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. შესაბამისად, დაგვიანებულ ქირურგიულ ჩარევას, კლინიკური და ლაბორატორიული კვლევების გარეშე, შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვნად ნეგატიური პოსტტრავმული და პოსტოპერაციული გართულებები...

ოპერაციის შემდეგ პერიოდში დაინიშნა ანტიბაქტერიული მკურნალობა, თუმცა, იგი მიმდინარეობდა არათანმიმდევრულად და სათანადო ზედამხედველობის გარეშე, რამაც, როგორც ჩანს, გამოიწვია პოსტოპერაციული ჭრილობების, თავის ტვინის ქსელისებრი გარსისა და ტვინის ნივთიერების წინასწარგანსაზღვრული ჩირქოვანი ანთება, ძვლის ოსტეომიელიტი და სხვა...”

63. ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ არ არსებობდა ობიექტური საფუძველი განმცხადებლისათვის ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დიაგნოზის დასასმელად. არც სასწრაფო დახმარების ექიმს, არც მის კოლეგებს შემდგომში არ აღუნიშნავთ სამედიცინო ჩანაწერებში, რომ ჩასუნთქვისას გამოვლინდა ალკოჰოლი. ეს ფაქტი პირველად გამოჩნდა 2001 წლის 30 ივნისის სამედიცინო შემოწმების ნაწილობრივ გაურკვეველ და არასრულ ანგარიშში. თუმცა, გამოკვლევა ჩატარდა მიღებული წესების დარღვევით. არ დაინიშნა მკურნალობა ინტოქსიკაციაზე და ეს დიაგნოზი არ ასახულა არც ერთ სხვა დოკუმენტში. ინტოქსიკაციის დიაგნოზის სანდოობა ეჭვქვეშ დააყენა იმ ფაქტმა, რომ განმცხადებლის სისხლის ანალიზში აღმოჩენილი ალკოჰოლის რაოდენობა იყო ლეტალური.

64. ექსპერტებმა დაადგინეს შემდეგი:

„იმის ზუსტად დადგენა, თუ რა ზომის ზიანი მიაყენა [განმცხადებელს] სამედიცინო დაწესებულებაში ხანგრძლივმა დაყოვნებამ სათანადო სამედიცინო დახმარების გარეშე, შუძლეველია. მხოლოდ იმის დამტკიცება შეიძლება, რომ მისი მდგომარეობა ამ დროს მნიშვნელოვნად დამძიმდა – ტვინში განვითარდა შეუქცევადი ცვლილებები იმ დონემდე, რომ გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა გახდა აუცილებელი სიცოცხლის გადასარჩენად...

წინამდებარე შესწავლამ გამოავლინა მთელი რიგი დარღვევებისა სამედიცინო დახმარებაში, რომელიც [განმცხადებელს] აღმოუჩინეს მოსკოვის 33-ე საავადმყოფოში. კერძოდ, გაუმართლებელი კონსერვატიული მკურნალობა,

არასრული გამოკვლევა, დაგვიანებული და არასრული დიაგნოზი, დაგვიანებული ქირურგიული ჩარევა, არასათანადო სამედიცინო ღონისძიებები, რამაც ვერ შეაჩერა პოსტტრამპული პროცესის მძიმედ განვითარება და ხელი შეუწყო არასასურველი შედეგის მიღებას – [განმცხადებლის] უნარშეზღუდულობას. თუმცა, შეუძლებელია იმის გაზომვა, თუ რა დონემდე იმოქმედა შედეგზე ამ შეცდომებმა, რადგან არ არსებობს გაზომვის შესაბამისი მეთოდები“.

65. 2003 წელს რაღაც მომენტში აღმოჩნდა, რომ განმცხადებლის სამედიცინო ისტორია 33-ე საავადმყოფოდან დაიკარგა. 2001 წელს იგი გაიტანა გამომძიებელმა ბ-ნმა სოლომკინმა და გადასცა ექსპერტებს შესწავლისათვის. შემდეგ ის დაუბრუნეს გამომძიებლებს, რომლებმაც ვეღარ იპოვეს იგი.
66. 2004 წლის 12 იანვარს მოსკოვის ქალაქის პროკურორის მოადგილემ გააუქმა გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ და მოითხოვა, რომ დასჯილიყვნენ ისინი, ვინც პასუხისმგებელი იყო გადაცილებასა და პროცედურულ დარღვევებზე. 2004 წლის 17 თებერვალს შიდა მოკვლევამ დაადგინა, რომ გამომძიებელმა ბ-ნმა კირიჩევსკიმ უკანონოდ გადაწყვიტა, შეეწყვიტა სამართალწარმოება სამედიცინო მოკვლევის დასრულებამდე. გამომძიებელმა მიიღო საყვედური, ხოლო მისი ხელმძღვანელი ჩამოაქვეითეს.
67. 2004 წლის 3 თებერვალს საქმე გადაეცა გამომძიებელს, ბ-ნ შახოვს, აღმოსავლეთის ადმინისტრაციული ოლქის პოლიციის საგამომძიებო დეპარტამენტიდან. მან მისწერა განმცხადებლის დედას, რომ დაისაჯნენ ისინი, ვინც პასუხისმგებელნი იყვნენ სამედიცინო ისტორიის დაკარგვაზე.
68. 2004 წლის 20 აპრილს გამომძიებელმა ბ-ნმა შახოვმა დაიწყო ახალი სამედიცინო მოკვლევა იმავე ექსპერტების მონაწილეობით და იმავე კითხვებზე. წინა მოკვლევა ჩაითვალა მიუღებლად, რადგან დასრულდა იმ დროისათვის, როცა სისხლის სამართალწარმოება შეწყვეტილი იყო. 2004 წლის 17 მაისს დამთავრდა ახალი მოკვლევა. ექსპერტებმა გამოიტანეს იგივე დასკვნები. ასევე აღნიშნეს, რომ მათი მუშაობა შეაფერხა მონაცემთა ცვლილებებმა – ძირითადად, თარიღებისა და დროების, რომლებიც სამედიცინო ისტორიაში შეიტანა 33-ე საავადმყოფომ და ამ მონაცემებს შორის არსებობდა სრულიად აუხსნელი წინააღმდეგობები.
69. 2004 წლის 20 მაისს გამომძიებელმა ბ-ნმა შახოვმა გამოიტანა გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ იმ მოტივით, რომ გამოძიებისათვის გამოყოფილი ვადა გავიდა. 2004 წლის 19 ივნისს გადაწყვეტილება გააუქმა ზედამხედველმა პროკურორმა.

70. გამოძიება გადაეცა ბ-ნ ბუვინს, რომელმაც იმავე საფუძველზე შეწყვიტა სამართალწარმოება 2004 წლის 1 სექტემბერსა და 19 ნოემბერს. საზოგადოებრივმა პროკურორმა გააუქმა მისი გადაწყვეტილება 2004 წლის 13 ოქტომბერსა და 18 დეკემბერს.
71. 2005 წლის 18 იანვარს გამომძიებელმა აღნიშნა, რომ საწყისმა სასამართლო გამოძიებამ ვერ განსაზღვრა, თუ რა მოცულობით უკავშირდება განმცხადებლისათვის 33-ე საავადმყოფოში აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების ხარვეზები მისი ჯანმრთელობის დაზიანებას. მან დაიწყო ახალი სამედიცინო მოკვლევა, რომელიც ჩაატარეს მოსკოვის მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ექსპერტებმა, და შეწყვიტა სამართალწარმოება.
72. 2005 წლის 30 მაისს ექსპერტებმა წარმოადგინეს თავიანთი დასკვნები, რომლებიც სამედიცინო ისტორიის ორიგინალის არარსებობის გამო ეყრდნობოდა საქმეში არსებულ მასალასა და ექსპერტთა პირვანდელი მოკვლევის ტექსტში არსებულ ვრცელ ციტატებს თავდაპირველი სამედიცინო ჩანაწერებიდან. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ განმცხადებელს ჰქონდა სისხლძარღვოვანი პათოლოგია, რამაც გამოიწვია სუბდურული ჰემატომა თავის ტრავმისა და ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ფონზე. მათი აზრით, განმცხადებლის 33-ე საავადმყოფოში მიყვანის მომენტისათვის არ იყო აუცილებელი გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა. ჰემატომა იზრდებოდა გარკვეული ხნის განმავლობაში, სამედიცინო სპეციალისტების მკაცრი მეთვალყურეობით, რომლებიც ელოდნენ ყველაზე ხელსაყრელ მომენტს ტვინის ოპერაციისათვის. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პირველადი მოკვლევის დასკვნები იყო „არაობიექტური“ და დიაგნოზი დაისვა/ოპერაცია გაკეთდა დროულად და ზუსტად. იმავე დღეს საზოგადოებრივმა პროკურორმა გადაწყვიტა, დაესრულებინა სამართალწარმოება.
73. შემდგომი გადაწყვეტილებები სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ სხვადასხვა საფუძველზე გამოიტანეს 2005 წლის 18 იანვარს (გაუქმდა 30 მაისს) და 2005 წლის 31 მაისს (გაუქმდა 24 ივნისს).
74. 2005 წლის 15 აგვისტოს გამომძიებელმა გადაწყვიტა, ჩაეტარებინა შემდგომი სასამართლო ექსპერტიზა იმისათვის, რომ გამოესწორებინა ექსპერტთა პირველ და მეორე ანგარიშებს შორის განსხვავებები. ეს საქმე მიანდეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური განვითარების ფედერალური სააგენტოს სასამართლო მედიცინის ცენტრს. თუმცა, ცენტრმა უარი განაცხადა ექსპერტიზის ჩატარებაზე – პირველადი სამედიცინო ისტორიის არარსებობის გამო. ცენტრის პირველი დეპარტამენტის დირექტორმა განუცხადა გამომძიებელს, რომ მოკვლევის ჩატარება საქმეში არსებული მასალებისა და ექსპერტთა სხვა მანამდელი

დასკვნების საფუძველზე, „მეთოდოლოგიურად არასწორია და არღვევს ექსპერტთა მოკვლევის არსებულ პრაქტიკას“.

75. 2005 წლის 6 სექტემბერს გამომძიებელმა განმცხადებელს მიაწავა მსხვერპლის სტატუსი და დედამისი ცნო მის სამართლებრივ წარმომადგენლად.
76. 2006 წლის 28 აპრილს და 19 ივლისს გამომძიებელმა ბ-ნმა ვოლკმა გადაწყვიტა, შეეწყვიტა სამართალწარმოება იმის გამო, რომ დანაშაული არ დადასტურდა. გადაწყვეტილებები გააუქმეს ზედამხედველმა პროკურორებმა.
77. ბოლო გადაწყვეტილება სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, რომელიც კი სასამართლოს ჰქონდა ხელთ, თარიღდება 2006 წლის 29 ნოემბრით და მიიღო გამომძიებელმა ბ-ნმა ვოლკმა. მან შეაფასა არსებული შემთხვევა, მათ შორის, 33-ე საავადმყოფოს ექიმების, ბ-ნი K.-ს, ბ-ნი Ts.-სა და ბ-ნი B.-ს ჩვენებები, ასევე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების, განმცხადებლის მეგობრის, ბ-ნი N.-ის, განმცხადებლის დედისა და თავად განმცხადებლის ჩვენებები. უხვად იყო გათვალისწინებული პირველი და მეორე სასამართლო ექსპერტიზის შედეგები, ისევე როგორც მიზეზები, რომელთა გამოც სასამართლო ექსპერტიზის ფედერალურმა ცენტრმა უარი თქვა „შემაჯამებელი“ ექსპერტიზის ჩატარებაზე ორიგინალი დოკუმენტების არარსებობის პირობებში. გამომძიებელმა გამოიტანა ასეთი დასკვნა:

„მიუხედავად იმისა, რომ ორი ექსპერტის კვლევის ზემოთ მოყვანილ შედეგებში არის არსებითი განსხვავებები [განმცხადებლის] ავადმყოფობის მიზეზებსა და განვითარებაზე, ასევე, მისთვის ჩატარებული მკურნალობის პროფესიულ დონეზე, ვერც ერთმა კომისიამ ვერ დაადგინა, რომ არსებობდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი [განმცხადებლისათვის] ჩატარებულ მკურნალობასა და მის შედეგებს შორის, რაც გამოიხატა მსხვერპლის ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანებით.“

ამ გარემოებებში, გამოძიებამ დაადგინა: არ არსებობს ობიექტურად დადასტურებული ფაქტობრივი მონაცემები, რომ 33-ე საავადმყოფოს ექიმებმა K.-მ, Ts.-მ და B.-მ ვერ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება [განმცხადებელს] – საპატიო მიზეზის გარეშე – რაც შედეგად გამოიწვევდა მისი ჯანმრთელობის სერიოზულ დაზიანებას. ეს კი იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მათ ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული“.

78. იმავე დღეს ზედამხედველმა პროკურორმა გააუქმა ეს გადაწყვეტილება და დაავალა ბ-ნ ვოლკს, რომ გამოესწორებინა გამოძიების ხარვეზები, კერძოდ, აღმოეჩინა ორიგინალი სამედიცინო დოკუმენტები.

II შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

A. სისხლის სამართლის კოდექსი

79. სისხლის სამართლის 124-ე მუხლის განმარტებით, პაციენტისათვის სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობა არის დანაშაული იმ ადამიანის მხრიდან, რომელიც ვალდებულია, რომ სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს პაციენტს და არ ასრულებს ამ მოვალეობას, საპატიო მიზეზების გარეშე. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი ეხება ისეთ ვითარებას, რომელშიც ამგვარმა შეუსრულებლობამ გამოიწვია პაციენტის სიკვდილი ან მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.
80. 125-ე მუხლი ეხება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მიტოვებას. ეს დანაშაული განიმარტება, როგორც ადამიანის მიზანმიმართული მიტოვება დახმარების გარეშე – როცა ის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაშია და არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა მცირე ასაკის ან მოხუცებულობის, ავადმყოფობის ან უმწეობის გამო – იმის გათვალისწინებით, რომ დამნაშავეს ჰქონდა ამ ადამიანის დახმარების შესაძლებლობა და, ასევე, ევალეობდა, მიეხედა მისთვის.
81. 293-ე მუხლი განმარტავს პროფესიული გულგრილობის დანაშაულს, როგორც პროფესიული მოვალეობების შეუსრულებლობას ან არასათანადოდ შესრულებას, რასაც მოჰყვა მოქალაქეთა უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დარღვევა.

B. პოლიციის წესდება (1991 წლის 18 აპრილის კანონი no. 1026-I)

82. მე-10 ნაწილი ითვალისწინებს, რომ პოლიცია ვალდებულია, დახმარება გაუწიოს სისხლის სამართლისა თუ ადმინისტრაციული დანაშაულის, ან უბედური შემთხვევის მსხვერპლს და ადამიანებს, რომლებიც არიან უმწეო ან სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში.

C. დებულება საპატრულო პოლიციის შესახებ (შინაგან საქმეთა მინისტრის 1993 წლის 18 იანვრის ბრძანება no. 17)

83. დანაშაულის ადგილზე მისვლისას საპატრულო პოლიციამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს მსხვერპლს, საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახოს სასწრაფო დახმარება, გამოავლინოს დანაშაულის შესაძლო მოწმეები და თვითმხილველები, დაიცვას გარემო, აცნობოს მორიგეს და იმოქმედოს მითითებების შესაბამისად (პუნქტი 135).
84. პირველი დახმარების გაწევის ან მსხვერპლის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანისას, პოლიციის ოფიცერმა უნდა შეამოწმოს

მსხვერპლის ტანსაცმელი და დაზიანებული არეები სხეულზე იმისათვის, რომ მოახერხონ მისი იდენტიფიკაცია. თუ მსხვერპლს არ ეტყობა სიცოცხლის ნიშანწყალი, პოლიციელმა უპირველესად უნდა დაადგინოს, ცოცხალია თუ არა ის – ისე, რომ არ შეუცვალოს მას ადგილმდებარეობა, ან გადაადგილოს გარშემომყოფი საგნები (პუნქტი 141).

D. დებულება პოლიციასთან არსებულ კერძო საკუთრების უსაფრთხოების დეპარტამენტებზე (მთავრობის 1992 წლის 14 აგვისტოს no. 589 რეზოლუცია)

85. პოლიციასთან არსებული კერძო საკუთრების უსაფრთხოების დეპარტამენტები შეიქმნა კერძო საკუთრების დასაცავად (პუნქტი 1). კერძო საკუთრების უსაფრთხოების სამსახურები შედგება პოლიციის ოფიცრებისაგან, ასევე, ტექნიკური და დამხმარე პერსონალისაგან (პუნქტი 4). კერძო საკუთრების უსაფრთხოების დეპარტამენტებში ოფიცრებს ასაქმებს შინაგან საქმეთა სამინისტრო (პუნქტი 9) და მათ იგივე უფლებები აქვთ, რაც პოლიციის წესდების საფუძველზე დაქირავებულ ოფიცრებს, მათ შორის, იარაღის ტარებისა და დამნაშავეთა დაკავების უფლება (პუნქტი 8).

E. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

86. 2003 წლის 10 ივლისამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სამოქალაქო საჩივრის აღძვრა შეიძლებოდა სისხლის სამართალწარმოების დაწყების შემდეგ, მაგრამ წინასასამართლო გამოძიების დამთავრებამდე (მუხლი 44, პუნქტი 2). 2003 წლის 4 ივლისის no. 92-FZ ფედერალური კანონის დამატებების შემოღების შემდეგ სამოქალაქო საჩივრის აღძვრის ვადა გაიზარდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის საბოლოო განხილვამდე.

სამართალი

I. განმცხადებელზე თავდასხმის გამოძიების სავარაუდო არაეფექტიანობა

87. განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე თავდასხმის გამოძიებას.
88. თავის კომენტარებში – განაცხადის დასაშვებობასა და არსებით მხარეებთან დაკავშირებით – განმცხადებელი ხაზს უსვამს შემდეგ ფაქტს: იგი არ ჩივის იმის გამო, რომ თითქოსდა თავს დაესხნენ სახელმწიფო

მოხელეები, ან მასზე თავდასხმა რამენაირად უკავშირდება სახელმწიფოს. ის აცხადებს პრეტენზიას, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა თავისი მოვალეობა, ჩაეტარებინა ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლისათვის საშიში თავდასხმის გარემოებათა შესახებ, არ გამოავლინა დამნაშავეები და არ აანაზღაურა მისთვის მიყენებული ზარალი. ამასთან დაკავშირებით, მან ხაზი გაუსვა, რომ გამოძიება არ ჩატარდა დროულად, რადგან საქმე გაიხსნა ინციდენტიდან დაახლოებით 20 დღის შემდეგ, იგი დახურეს და ხელახლა გახსნეს, სულ მცირე, რვაჯერ; დედამისის ვერსია – პოლიციის ოფიცრების დანაშაულში ჩართულობის შესახებ – პირველად განიხილეს მხოლოდ 2004 წელს და გამოძიება, მთლიანობაში, ზედმეტად გახანგრძლივდა.

89. მთავრობამ განაცხადა, რომ პოლიციის ოფიცრები დაისაჯნენ, რადგან სისხლის სამართალწარმოება არ დაიწყო დროულად. თავდაპირველი გადაწყვეტილებები, შეეწყვიტათ სისხლის სამართალწარმოება, იყო დაუსაბუთებელი და, ამ მიზეზით, საქმე გადაეცა მოსკოვის აღმოსავლეთის ადმინისტრაციული ოლქის საგამოძიებო დეპარტამენტს. თუმცა, გამოძიების პროცესი კვლავ დაგვიანებებით წარიმართა, რის გამოც გაათავისუფლეს გამომძიებელი შახოვი და დისციპლინური სასჯელი წაუყენეს გამომძიებელს, ბ-ნ კირიჩევსკისა და მოსკოვის აღმოსავლეთის ადმინისტრაციული ოლქის საზოგადოებრივი პროკურორის მოადგილეს. შედეგად, საქმე ხელახლა გადაეცა მოსკოვის აღმოსავლეთის ადმინისტრაციული ოლქის საზოგადოებრივ პროკურატურას. 2006 წლის 7 ივნისს მოსკოვის ქალაქის პროკურატურამ გააუქმა გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ და გამოძიება განახლდა.

A. დაშვებადობა

90. მთავრობამ განაცხადა, რომ საჩივარი იყო ნაადრევი, რადგან გამოძიებას ჯერ არ ჰქონდა გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება. შესაბამისად, განმცხადებელს არ ჰქონდა ამოწურული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება.
91. სასამართლოს აზრით, მთავრობის პრეტენზია უნდა შეეხოს არსებით გარემოებებს, რამდენადაც ისინი მჭიდროდ უკავშირდება განმცხადებლის საჩივრის არსს, რომ სახელმწიფომ, სავარაუდოდ, ვერ ჩაატარა სათანადო გამოძიება (იხ. *Mikheyev v. Russia*, no. 77617/01, § 88, 26 იანვარი 2006). გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განაცხადი არ შეიძლება დაუშვებლად გამოცხადდეს რაიმე სხვა საფუძველით.

შესაბამისად, სასამართლო განაცხადს აცხადებს სასამართლო განხილვაზე დაშვებულად.

B. საქმის არსებითი მხარეები

1. კონვენციის გამოყენებული დებულებები

92. ფაქტების საფუძველზე, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს თავს დაესხა ერთი ან მეტი პირი, აშკარად მისი გაძარცვის მიზნით. მან მიიღო მძიმე დარტყმა თავში, დაკარგა გონება და შემდეგ იყო კომაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში. სასამართლოს ექსპერტებმა მიღებული დაზიანებები აღწერეს როგორც „სერიოზული“, ეროვნული კლასიფიკაციის მიხედვით.
93. წინამდებარე საქმეში არ მტკიცდება, რომ განმცხადებლის დაზიანებები იყო ფატალური. თუმცა, ეს დასკვნა არ გამორიცხავს პრინციპულად მისი საჩივრის განხილვას მე-2 მუხლის მიხედვით, რომლის ტექსტიც მთლიანობაში წაკითხვისას აჩვენებს, რომ იგი ფარავს არა მარტო განზრახ მკვლელობას, არამედ ისეთ ვითარებასაც, როცა ძალის გამოყენებამ შესაძლოა წინასწარი განზრახვის გარეშე გამოიწვიოს შედეგად სიცოცხლის დაკარგვა. გარდა ამისა, სასამართლომ უკვე განიხილა საჩივრები ამ მუხლის საფუძველზე, რომლითაც სავარაუდო მსხვერპლი არ კვდება სადავო ქცევის შედეგად (იხ. *Makaratzis v. Greece* [GC], no. 50385/99, § 49, ECHR 2004-XI; *Isayeva and Others v. Russia*, nos. 57947/00, 57948/00 და 57949/00, § 174, 24 February 2005; და *İlhan v. Turkey* [GC], no. 22277/93, § 75, ECHR 2000-VII).
94. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ არასათანადო ფიზიკური მოპყრობა, რომელსაც შედეგად არ მოჰყვა სიკვდილი, მე-2 მუხლის დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. გამოყენებული ძალის ხარისხი და ტიპი, ასევე, განზრახვა ან მიზანი, რაც ამ ძალის გამოყენების უკან იდგა, სხვა ფაქტორებთან ერთად, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი იმის შესაფასებლად, იყო თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში ქმედებები იმგვარი, რომ ფაქტები მოექცია მე-2 მუხლით დაცული გარანტიების ფარგლებში, თუკი მათ მოჰყვა ლამის სიკვდილამდე დაზიანება. ბევრ შემთხვევაში, როცა ადამიანს თავს დაესხნენ, ან არასათანადოდ მოეპყრნენ, მისი საჩივარი მეტი ალბათობით განიხილება კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით (იხ. *mutatis mutandis*, *Makaratzis*, § 51, and *İlhan*, § 76, ორივე ციტირებულია ზემოთ). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მე-3 მუხლის ფარგლებში მოსახვედრად, სავარაუდო არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. ამ მინიმუმის შეფასება ფარდობითია: იგი დამოკიდებულია საქმის ყოველგვარ გარემოებაზე,

როგორცაა მოპყრობის ხასიათი და კონტექსტი, მისი ხანგრძლივობა, ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები, ზოგიერთ შემთხვევაში, სქესი, ასაკი და მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. *Saadi v. Italy* [GC], no. 37201/06, § 134, ECHR 2008-...).

95. განმცხადებელსა და მის მეგობარს თავს დაესხა უცნობი ადამიანი და მოჰპარა მათ დიდი ოდენობის თანხა. ორივეს უკნიდან ჩაარტყეს. თავდასხმის მიმართულებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდამსხმელი შეეცადა მსხვერპლთათვის მანამდე ჩაერთყა, ვიდრე ისინი მის სახეს დააფიქსირებდნენ. მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა გონება დაკარგა, აღარც უცემიათ და არც ჩაურტყამთ. ინციდენტისას არ გამოუყენებიათ სასიკვდილო იარაღი და არაფერი მიუთითებს ქურდის განზრახვაზე – მოეკლა განმცხადებელი. ამდენად, სასამართლო ადგენს, რომ ვითარება სცდება მე-2 მუხლის ფარგლებს. მიუხედავად ამისა, დაზიანებათა სიმძიმიდან გამომდინარე, რაც განმცხადებელმა მიიღო, და იმის გათვალისწინებით, რომ ამ დაზიანებებს ჰქონდა გახანგრძლივებული გავლენა მის ჯანმრთელობაზე, სასამართლო მიიჩნევს: ძალადობის ეს აქტი უტოლდება არასათანადო მოპყრობას, რომელიც აკრძალულია მე-3 მუხლით (შეადარე *Beganović v. Croatia*, no. 46423/06, § 66, 25 ივნისი 2009, და *Šečić v. Croatia*, no. 40116/02, § 51, ECHR 2007-VI).
96. შესაბამისად, სასამართლო ამ საჩივარს განიხილავს კონვენციის მე-3 მუხლის პოზიციებიდან. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს:
- „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას“.

2. შესაბამისობა მე-3 მუხლთან

97. სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი ბრალს არ სდებს მოპასუხე სახელმწიფოს ხელისუფლებას იმ თავდასხმაზე, რისი მსხვერპლიც გახდა თვითონ და მისი მეგობარიც; არც ის განუცხადებია, რომ სახელმწიფომ იცოდა, ან მას უნდა სცოდნოდა, იყო თუ არა განმცხადებელი მესამე მხარისაგან ფიზიკური ძალადობის რისკის ქვეშ და არ მიიღო შესაბამისი ზომები მის დასაცავად. ეროვნულ დონეზე განხორციელებული გამოძიებისას შეგროვებული ელემენტებით, როგორცაა განმცხადებლის დედის დაუზუსტებელი განცხადება ადგილობრივ პოლიციელთა კინკლაობით აღსავსე დროსტარების შესახებ მეზობელ კაფეში, შეუძლებელია აღმოჩნდეს „დასაბუთებული მტკიცებულება“ სახელმწიფო მოხელეთა რაიმე ტიპის მონაწილეობაზე თავდასხმაში, ან განმცხადებლის ჯანმრთელობისათვის რაიმე დადასტურებული რისკის არსებობაზე.

98. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს არ აქვს პირდაპირი პასუხისმგებლობა იმ ძალადობრივ ქმედებებზე, რომლებიც აკმაყოფილებს სისასტიკის პირობას იმდენად, რომ ეხება კონვენციის მე-3 მუხლს, ეს არ ათავისუფლებს მას ყველა ვალდებულებისაგან ამ მუხლის მიხედვით. კონვენციის 1-ლი მუხლით დადგენილი მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულება – დაიცვას კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები, მე-3 მუხლთან ერთად, ყველასთვის, ვინც მათი იურისდიქციის ფარგლებშია – სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, მიიღონ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ იურისდიქციაში მყოფი პირები არ დაექვემდებარონ წამებას, ან არაადამიანურ, ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, ცალკეულ ინდივიდთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ჩათვლით (იხ. *Moldovan and Others v. Romania* (no. 2), nos. 41138/98 და 64320/01, § 98, ECHR 2005-VII (ამონარიდები); *M.C. v. Bulgaria*, no. 39272/98, § 149, ECHR 2003-XII; და *A. v. the United Kingdom*, 23 სექტემბერი 1998, § 22, *Reports* 1998-VI).
99. რასაკვირველია, სადავო არ არის, რომ კონვენციის 1-ლი მუხლით სახელმწიფოსთვის დაკისრებული ვალდებულება არ უნდა გავიგოთ როგორც მოთხოვნა სახელმწიფოსადმი – თავისი სამართლებრივი სისტემით უზრუნველყოს, რომ ამა თუ იმ ადამიანმა არასოდეს ჩაიდინოს არაადამიანური ან ღირსების შემლახველი ქცევა, ან, თუ ეს მოხდა, სისხლის სამართალწარმოებით აუცილებლად დააწესოს კონკრეტული სანქცია. მე-3 მუხლი მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ ჩაატაროს ოფიციალური ეფექტიანი გამოძიება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ირგვლივ, თუნდაც ამგვარი მოპყრობა მოდიოდეს კერძო პირისაგან (იხ. *Ay v. Turkey*, no. 30951/96, § 60, 22 March 2005, და *M.C.*, ციტირებულია ზემოთ, § 151).
100. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს საქმეებში იმის მიხედვით, მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობა სახელმწიფო მოხელეების მონაწილეობით განხორციელდა თუ კერძო პირების (იხ. ზემოთ მოყვანილი *Beganović*, § 69), მოთხოვნები ოფიციალური გამოძიების მიმართ მსგავსია. გამოძიება რომ „ეფექტიანად“ ჩაითვალოს, მან, არსებითად, უნდა შეძლოს საქმის ფაქტების დადგენა, მასზე პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. ეს არ არის შედეგის ვალდებულება, არამედ ერთ-ერთი საშუალება. ხელისუფლებამ უნდა გადადგას გონივრული ნაბიჯები, რაც საშუალებას მისცემს მას, დაიცვას შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, *inter alia*, მოწმეთა ჩვენებები, სასამართლო მტკიცებულებები და ა.შ. გამოძიების ნებისმიერი ნაკლოვანება, რომელიც შეარყევს მის უნარს, დაადგინოს დაზიანებათა მიზეზი ან გამოავლინოს პასუხისმგებელი პირის ვინაობა, შექმნის ამ

სტანდარტის დარღვევის რისკს. დაუყოვნებელი და გონივრული გამოძიების მოთხოვნა ჩადებულია ამ კონტექსტში (იხ. ზემოხსენებული *Mikheyev v. Russia-ს* საქმე, no. 77617/01, § 107 et seq. 26 იანვარი 2006, და *Assenov and Others v. Bulgaria*, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *Reports* 1998-VIII, §§ 102 et seq.). კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მიხედვით განხილულ საქმეებში, სადაც დგას ოფიციალური გამოძიების ეფექტიანობის საკითხი, სასამართლო ხშირად აფასებდა, მოახდინა თუ არა სწრაფი რეაგირება სახელმწიფომ საჩივარზე შესაბამის დროს. გაითვალისწინეს გამოძიების დაწყება, განცხადებათა მიღების დაგვიანება (იხ. *Timurtaş v. Turkey*, no. 23531/94, § 89, ECHR 2000-VI, და *Tekin v. Turkey*, 9 ივნისი 1998, § 67, *Reports* 1998-IV) და პირველადი გამოძიებისთვის დახარჯული დრო (იხ. *Indelicato v. Italy*, no. 31143/96, § 37, 18 ოქტომბერი 2001).

101. უბრუნდება რა წინამდებარე საქმის ფაქტებს, სასამართლო აღნიშნავს: ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა დაუყოვნებლივ აცნობეს პოლიციას, რომ ორი კაცი გახდა ველური თავდასხმის მსხვერპლი. პოლიციის ოფიცრების ქცევას, რომლებმაც განმცხადებელი დატოვეს დახმარების გარეშე, სასამართლო განიხილავს ქვემოთ. თუმცა, იმის შესაფასებლად, რამდენად შეასრულა ხელისუფლებამ თავისი მოვალეობა – ჩაეტარებინა ეფექტიანი გამოძიება – მნიშვნელოვანია ის, რომ პოლიციამ არ მოაგროვა არანაირი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, არც თავდასხმის გარემოებათა მოკვლევა დაუწყია დანაშაულის ჩადენის მომდევნო დღეებში. გარდა ამისა, „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებაში ორი საავადმყოფოდან შევიდა ინფორმაცია განმცხადებლისა და მისი მეგობრის სხეულის დაზიანებათა შესახებ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სისხლის სამართლის დანაშაულის სერიოზული ნიშნები, ოფიციალური გამოძიება დაიწყო მხოლოდ 2001 წლის 20 ივლისს, რაც 20 დღეზე მეტია დანაშაულის ჩადენიდან.
102. გამოძიების დაწყების თავდაპირველმა დაგვიანებამ გამოიწვია ის, რომ შეუძლებელი გახდა ზუსტი დროის დადგენა და შემთხვევასთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა დაცვა. არავინ მისულა და აღუწერია დანაშაულის ადგილი, არავის აუღია ჩვენება განმცხადებლისა და ბ-ნი N.-საგან, ან უცდია, გამოეკვლინა პოტენციური თვითმხილველები. ამ შეცდომას მოჰყვა დისციპლინური სამართალწარმოება ორი ოპერატიული მუშაკის წინააღმდეგ, რომლებსაც ევალეზოდან თავდაპირველი მოკვლევა. გარდა ამისა, 2001 წლის 29 ოქტომბრისა და 2004 წლის 27 თებერვლის წერილები იტყობინება, რომ სამართალწარმოების დაწყების შემდეგაც არ განუხორციელებიათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საგამოძიებო ღონისძიებები, როგორცაა დანაშაულის ადგილის აღწერა და მეზობლად მცხოვრები მოსახლეობის დაკითხვა. ეროვნული ხელისუფლება უსიტყვოდ დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ გამოძიება ძალიან

„გაიწელა“ და ჩატარდა „დაბალ პროფესიულ დონეზე, სისხლის სამართლის პროცესის წესების დარღვევით“.

103. პასუხისმგებლობა გამოძიებაზე, სულ ცოტა, სამჯერ გადაეცა სხვადასხვა პოლიციის განყოფილებასა თუ პროკურატურას. 5 წლის განმავლობაში არანაკლებ თორმეტჯერ გამოვიდა გადაწყვეტილება სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტაზე, რომლებსაც ზედამხედველი პროკურორები შემდეგ ცვლიდნენ. გადაწყვეტილებები სისხლის სამართალწარმოების ხელახალი დაწყების შესახებ მუდმივად იმეორებდნენ, რომ საჭიროა შემდგომი, უფრო ამომწურავი გამოძიება. თუმცა, ამ მიმართულებას ყოველთვის ვერ მიჰყვებოდნენ საქმეზე პასუხისმგებელი გამომძიებლები. გამომძიებლის, ბ-ნი ვოლკის გადაწყვეტილებათა უმეტესობა (2004, 2005 და 2006 წლებში), შეეწყვიტა სამართალწარმოება, ეფუძნებოდა ერთსა და იმავე მტკიცებულებებსა და დასაბუთებას. დროთა განმავლობაში, გამოძიებამ არ დაამუშავა შემთხვევასთან დაკავშირებული ახალი ვერსიები, როგორცაა, მაგალითად, პოლიციის ნასვამი ოფიცრების მონაწილეობა, რაც წამოაყენა განმცხადებლის დედამ ფაქტების პირადად მოძიების საფუძველზე.
104. ზემოთ მოყვანილი სერიოზული ნაკლოვანებების საფუძველზე, სასამართლო ადგენს, რომ გამოძიება არ იყო დროული, სწრაფი ან საკმარისად ამომწურავი. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის პრეტენზიას, რომ არ ამოწურულა სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება (იხ. ზემოთ, *Mikheyev*, § 121) და ადგენს: დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარე იმ კუთხით, რომ განმცხადებელზე თავდასხმის ფაქტის გამოძიება იყო არაეფექტიანი.

II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა იმის გამო, რომ პოლიციამ არ აღმოუჩინა დახმარება განმცხადებელს

105. განმცხადებელი კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე ჩიოდა, რომ პოლიციის ოფიცრებმა არ აღმოუჩინეს მას დახმარება და ეს ქცევა უტოლდება არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, ხოლო გამოძიებას არ მოჰყვა პასუხისმგებელ პირთა დასჯა.
106. განმცხადებლის თქმით, 2001 წლის 30 ივლისს პოლიციის ოფიცრებმა, ჟაროვმა და ვოლკოვმა, საკმარისი ყურადღებით არ შეამოწმეს მისი მდგომარეობა, რათა დაედგინათ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. მათ არ გამოუყენებიათ თავიანთი რაციები სასწრაფო დახმარებისათვის დასარეკად. გადაწყვეტილება – ორივე მსხვერპლი გადაეყვანათ სხვა ადგილას – არა მხოლოდ არაპროფესიონალური იყო, არამედ გამოიწვია განმცხადებლის ჯანმრთელობის შემდგომი დაზიანება და თავდასხმასთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა კვალის წაშლა. შემდგომი გამოძიება და საქმის სასამართლო განხილვა არ

აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობის მოთხოვნებს პოლიციისა და ადგილობრივი სასამართლოების ზედმეტი სიახლოვის გამო. ბრალდებისაგან გათავისუფლების შედეგად, პოლიციის ოფიცრებს არ დაეკისრათ არანაირი პასუხისმგებლობა – დისციპლინური თუ სხვა სახის – მათ ქმედებათა გამო.

107. მთავრობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებათა საფუძველზე, ადგენს, რომ განმცხადებლის მტკიცება მის მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის შესახებ არ შეიძლება „ობიექტურად შემოწმდეს“. გამოძიება ჩატარდა „ამომწურავად და ეფექტიანად“. შიდა მოკვლევამ არ აჩვენა გამოყენებული კანონმდებლობის რაიმე სახის დარღვევა პოლიციის ოფიცრების მხრიდან და სასამართლოებმა ისინი უდანაშაულოდ ცნეს სისხლის სამართლის დანაშაულში.

A. დაშვებადობა

108. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელს არ ამოუწურავს სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება, რადგან მას არ აღუძრავს საჩივარი იმ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, რითაც გაამართლეს პოლიციის ოფიცრები.
109. სასამართლო იმეორებს, რომ an application for supervisory review რუსეთის სისხლის სამართლის სისტემაში არ არის სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებთან შეაბამისობის მიზნით (იხ. ამ გადაწყვეტილების მსგავსად, *Krasulya v. Russia*, no. 12365/03, § 29, 22 February 2007). ამდენად, მთავრობის პრეტენზიას უარი უნდა ეთქვას.
110. მხარეთა განცხადებების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარი წამოჭრის რიგ სერიოზულ საკითხებს ფაქტებსა და სამართალთან კონვენციის მიხედვით, რომელთა განსაზღვრაც საჭიროებს არსებითი გარემოებების განხილვას. ამდენად, სასამართლო ასკვნის, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის §3(a)-ს მნიშვნელობით. არ გამოვლენილა რაიმე სხვა საფუძველი განაცხადის დაუშვებლად გამოცხადებისათვის.

B. არსებითი გარემოებები

1. *შესაბამისობა მე-3 მუხლთან, სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით*

111. სასამართლო აღნიშნავს, რომ ფაქტებზე მხარეები არ დავობენ. დადგინდა, რომ პოლიციის ოფიცრებს – ბ-ნ ჟაროვსა და ბ-ნ ვოლკოვს – დაავალეს, შეემოწმებინათ ინფორმაცია ორი ახალგაზრდა კაცის შესახებ, რომლებიც

ქუჩაში იწვნენ. ადგილზე მისვლისას ოფიცრებმა ნახეს უგონოდ მყოფი განმცხადებელი და მისი მეგობარი N. რომელიც იჯდა, მაგრამ არ შეეძლო თანმიმდევრული ლაპარაკი. მათ პოლიციის განყოფილებას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ საჭირო იყო სასწრაფო დახმარების მანქანა და ორივე მამაკაცი გადაიყვანეს გზიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით. მხარეები არ ეთანხმებიან ერთმანეთს იმ საკითხში, ოფიცრებმა ისინი ნაგვის ურნებთან ახლოს მოათავსეს თუ სადმე სხვაგან, მაგრამ ამ ელემენტს უფრო ემოციური დატვირთვა აქვს, ვიდრე სამართლებრივი წონა და მის ზუსტ განსაზღვრას ნაკლებად ექნება დამამტკიცებელი ღირებულება სასამართლო შეფასებისათვის.

112. ამის შემდეგ პირადი უსაფრთხოების კოორდინატორმა გააგზავნა ოფიცრები, რათა შეემოწმებინათ საგანგაშო სიგნალი. როგორც ჩანს, იმ მომენტისათვის, როცა მათ ინფორმაცია გადასცეს პოლიციის განყოფილებას, მორიგე გასული იყო და მას ცვლიდა ოპერატიული მუშაკი ბ-ნი ვანჩარინი. ამ უკანასკნელმა არ აღრიცხა ზარი ჟურნალში, არც სასწრაფო დახმარებას დაურეკა და არც გამოსაფხიზლებელ სამსახურს. შედეგად, განმცხადებელმა მთელი ღამე გაატარა ეზოში, სანამ სასწრაფო დახმარების მანქანამ არ აიყვანა, უკვე დილით.
113. სასამართლოს საქმეა, განსაზღვროს, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ავლენს თუ არა სახელმწიფო ხელისუფლების წარუმატებლობას; მხარი დაუჭიროს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას, კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით.
114. კონვენციის მე-3 მუხლი ამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. იგი აბსოლუტური მნიშვნელობით კრძალავს წამებას, ან არაადამიანურ, ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, მიუხედავად გარემოებებისა და მსხვერპლის ქცევისა (მაგალითისათვის იხ. *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 119, ECHR 2000-IV *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 119, ECHR 2000-IV). როგორც ზემოთაა აღნიშნული, მოპყრობის სისასტიკის შეფასება დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის, მის ბუნებასა და კონტექსტზე, ხანგრძლივობაზე, მის ფიზიკურ და ფსიქიკურ ეფექტებზე და, ზოგიერთ შემთხვევაში, სქესზე, ასაკსა და მსხვერპლის ჯანმრთელობის მდოგამარეობაზე. კითხვა – ამგვარი მოპყრობის მიზანი იყო თუ არა მსხვერპლის დატანჯვა – კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია, მაგრამ ასეთი მიზნის არარსებობა არ გამორიცხავს მე-3 მუხლის დარღვევას (იხ. *Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece* (the “Greek case”), განაცხადები nos. 3321/67, 3322/67, 3323/67 და 3344/67, Commission’s report of 5 November 1969, Yearbook XII, and *Peers v. Greece*, no. 28524/95, § 74, ECHR 2001-III). თუნდაც არ არსებობდეს რაიმე მტკიცებულება განზრახვისა, დაემცირებინათ ან დაეკნინებინათ განმცხადებელი, და მასთან დაკავშირებული ცალკეული მოხელეებიც არ იყვნენ დამნაშავენი სავარაუდო არასათანადო

მოპყრობაში, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მთავრობა, კონვენციის საფუძველზე, პასუხს აგებს ნებისმიერი სახელმწიფო უწყების ქმედებებზე – სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა არის საკითხი, რომელსაც განიხილავს სასამართლო ყველა საქმეში (იხ. *Novoselov v. Russia*, no. 66460/01, § 45, 2 ივნისი 2005, და *Lukanov v. Bulgaria*, 20 მარტი 1997, § 40, *Reports* 1997-II).

115. სასამართლო იმეორებს მის მყარ მიდგომას, რომ მე-3 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას იმ ადამიანთა კეთილდღეობა, რომლებიც არიან მოწყვლად მდგომარეობაში სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის გამო, მაგალითად, პატიმრები ან გაწვეული სამხედრო მოსამსახურეები (იხ. *Chember v. Russia*, no. 7188/03, § 50, 3 ივლისი 2008; *Sarban v. Moldova*, no. 3456/05, § 77, 4 ოქტომბერი 2005; *Jalloh v. Germany* [GC], no. 54810/00, § 69, ECHR 2006-IX, და *Mouisel v. France*, no. 67263/01, § 40, ECHR 2002-IX). თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მე-3 მუხლის აბსოლუტურ ხასიათს, რომლის მოთხოვნებიც არ უშვებს გამონაკლისებს, დაცვის ეს უფლება არ შეიძლება შემოიფარგლოს ოდენ სამხედრო ან პენიტენციური დაწესებულებების კონტექსტით. იგი რელევანტურია სხვა ვითარებებშიც, რომლებშიც ინდივიდის კეთილდღეობა, გარკვეული ზომით, დამოკიდებულია ხელისუფლების ქმედებაზე, ვისაც სამართლებრივად მოეთხოვება, რომ მისი ძალაუფლების ფარგლებში მიიღოს აუცილებელი ზომები სიცოცხლის, ან მხარის დაზიანების რისკის თავიდან ასაცილებლად (იხ. კონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების მსგავსი კონტექსტი, *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, no. 46477/99, § 55, ECHR 2002-II).
116. წინამდებარე საქმეში ხელისუფლებამ უეჭველად იცოდა, რომ განმცხადებელის მდგომარეობა იყო მოწყვლადი და სიცოცხლისათვის საშიში. როგორც საზოგადოებრივმა პროკურორმა აღნიშნა თავის გადაწყვეტილებაში, დაეწყო სისხლის სამართალწარმოება, ოფიცრებმა, ჟაროვმა და ვოლკოვმა, განმცხადებელი აღმოაჩინეს უგონო მდგომარეობაში და, შესაბამისად, შეუძლებელია „ობიექტურად შემცდარიყვნენ“, როგორც მისი მდგომარეობის სიმძიმესთან მიმართებით, ასევე მის შესაძლებლობასთან – მოეწყო საკუთარი თავისთვის (იხ. ზემოთ, 42-ე პუნქტი). სასამართლო მიიჩნევს, რომ რაჟამს პოლიციამ მიიღო ინფორმაცია ადგილობრივ მცხოვრებთაგან მიწაზე უგონოდ მწოლიარე ახალგაზრდა კაცის შესახებ, საკითხი მოექცა ხელისუფლების კონტროლქვეშ, რომელიც ვალდებული იყო, მიეღო შემდგომი ზომები განმცხადებლის სიცოცხლის გადასარჩენად.
117. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, პოლიციას აქვს საგანგებო ვალდებულება, დაიცვას და გაუფრთხილდეს მოქალაქეებს ზოგადად, ხოლო თავდასხმის მსხვერპლთ ან სიცოცხლისთვის საშიშ

მდგომარეობაში მყოფი – განსაკუთრებით. მათი მოვალეობა, დახმარება აღმოუჩინონ ასეთ პირებს, ჩადებულია როგორც პოლიციის წესდებაში (იხ. ზემოთ, 82-ე მუხლი), ასევე საპატრულო პოლიციის დებულებაში (იხ. ზემოთ, 83-ე მუხლი). დებულება მოიცავს დეტალურ აღწერას, რა უნდა მოიმოქმედოს პოლიციის ოფიცერმა დანაშაულის ადგილზე მისვლისას. მათ მოეთხოვებათ პირველადი დახმარების აღმოჩენა მსხვერპლისათვის, მისი ვინაობის დადგენა, სასწრაფო დახმარების გამოძახება, ადგილზე შესაძლო მტკიცებულებების დაცვა, მსხვერპლის ან გარშემო მყოფი ნივთებისათვის ადგილმდებარეობის შეცვლის გარეშე. სასამართლო აღნიშნავს, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახება აშკარად მოქცეულია საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მოვალეობათა ჩამონათვალში და არა პოლიციის განყოფილების მორიგე ოფიცრის ან სხვა პირის მოვალეობათა შორის.

118. წინამდებარე საქმეში ოფიცრებმა ჟაროვმა და ვოლკოვმა ცალსახად დაარღვიეს ზემოხსენებული სამართლებრივი ინსტრუმენტის მოთხოვნები. მათ არ გასინჯეს უგონოდ მყოფი განმცხადებელი, რათა დაედგინათ მისი მდგომარეობის სიმძიმე ან განესაზღვრათ, რა ტიპის დახმარება სჭირდებოდა მას შესაბამის გარემოებებში. არ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება ან მედიკოსები, თანაც მათ ჰქონდათ რაციები, შეეძლოთ გამოეყენებინათ მობილური ან ქუჩის საზოგადოებრივი ტელეფონები, ან სულაც ეთხოვათ ადგილობრივ მცხოვრებთათვის, დაერეკათ ბინის ტელეფონიდან. წესების ბევრად უფრო სერიოზულ დარღვევად უნდა ჩაითვალოს ოფიცერთა გადაწყვეტილება – განმცხადებელი მკვლავებში ხელმოკიდებული გადაეჩოჩებინათ გზიდან, რასაც, შესაძლოა, მოჰყვა კიდევ სავალალო შედეგი. ეს ეწინააღმდეგება როგორც სამართლებრივ მოთხოვნებს, ასევე პირველადი დახმარების აღმოჩენის უმთავრეს წესებს, რომლებიც კრძალავს ადამიანის გადაადგილებას, თუ მას, სავარაუდოდ, მიღებული აქვს თავის ტრავმა, რაც პოლიციის ოფიცრებს უნდა შეემჩნიათ. საბოლოოდ, ოფიცრებმა დატოვეს შემთხვევის ადგილი კერძო საკუთრების უსაფრთხოების სამსახურის კოორდინატორის მითითებით, დანამდვილებით იცოდნენ რა, რომ განმცხადებელის მდგომარეობა იყო უმწეო და სიცოცხლისათვის საშიში.
119. რაც შეეხება მათ სასწრაფო გაუჩინარებას, სასამართლო უჩვეულოდ მიიჩნევს რუსეთის პოლიციის მოწყობის წესს, რომლის მიხედვითაც რაიონების პატრულირება ევალებოდათ პოლიციის ოფიცრებს, ვისი უპირველესი მოვალეობაც იყო, კერძო საკუთრებასთან მიმართებით ემოქმედათ როგორც უსაფრთხოების კომერციული სამსახურის თანამშრომლებს (იხ. ზემოთ, პუნქტი 85) (იხ. ზემოთ, 85-ე პუნქტი). ოფიცრებმა, ჟაროვმა და ვოლკოვმა, განმცხადებელი უყურადღებოდ მიატოვეს კერძო საკუთრების უსაფრთხოების კოორდინატორის

მითითებით, რათა შეემოწმებინათ ვილაცის ქონება სადღაც სხვაგან, შემოსული საგანგაშო ზარის საფუძველზე. როგორც პოლიციის უფროსმა ოფიცერმა ბ-ნმა კ-მ განუმარტა სასამართლოს, კერძო საკუთრების უსაფრთხოების კოორდინატორის ბრძანება აღმატება პოლიციის განყოფილების მორიგე ოფიცრისას (იხ. ზემოთ, 50-ე მუხლი). სასამართლოს აზრით, სტრუქტურის ამგვარ მოწყობას მოჰყვა პრიორიტეტების უხეში პერვერსია, რამდენადაც კერძო საკუთრების დაცვის ინტერესი აღმოჩნდა განმცხადებლის სიცოცხლის ინტერესზე მაღლა.

120. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის სასამართლო განხილვაზე თვალნათლივ გამოჩნდა დარღვევები „სოკოლინაია გორას“ პოლიციის სადგურში პროცედურების გამოყენებისას. დარღვევა გამოვლინდა მაშინ, როცა მორიგე ოფიცერმა დატოვა პოსტი და თავის ნაცვლად დატოვა ბ-ნი ვანჩარინი. მართალია, ბ-ნი ვანჩარინიც პოლიციის ოფიცერი იყო, მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება, ჩაენაცვლებინა მორიგე ოფიცერი. ბ-ნმა ვანჩარინმა არ აღრიცხა ჟაროვისა და ვოლკოვისაგან შემოსული ზარი შესაბამის ჟურნალში, არც ის გაარკვია, კონტროლდებოდა თუ არა სიტუაცია, არანაირი ზომა არ მიუღია ჰოსპიტალთან, ან თუნდაც გამოსაფხიზლებელ სამსახურთან დასაკავშირებლად, დაბოლოს, მას არაფერი უთქვამს მორიგე ოფიცრისათვის დაბრუნების შემდეგ.
121. გამოვიდა ასე: პოლიციის ორმა ოფიცერმა ნამდვილად ნახა უგონოდ მყოფი განმცხადებელი და დატოვა შემთხვევის ადგილი მისთვის დახმარების აღმოჩენის გარეშე, ამავე დროს, მორიგე ოფიცერმა პოლიციის განყოფილებაში ვერაფერი გაიგო მომხდარის შესახებ, რადგან მან დაუშვა, ჩაენაცვლებინა არაკომპეტენტურ თანამშრომელს, რომელმაც, თავის მხრივ, არ დაიცვა საპატრულო შეტყობინების შემდგომი დამუშავების დადგენილი პროცედურა. გადაცემული ვალდებულებების ამ მანკიერმა წრემ და მრავალგვარმა ჩავარდნამ შედეგად მოიტანა ის, რომ განმცხადებელი უგონოდ იწვა მიწაზე მომდევნო 6 თუ 7 საათს, სანამ ის არ იპოვეს მეეზოვეებმა და არ მოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანა. რუსეთის ხელისუფლების ამგვარ მოპყრობას, სასამართლოს შეფასებით, შეიძლება დაერქვას „არაადამიანური“.
122. ამდენად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი იმის გამო, რომ ხელისუფლებამ ვერ მიიღო სათანადო ზომები განმცხადებლის სიცოცხლისათვის ზიანის თავიდან ასაცილებლად, რაც უტოლდება არაადამიანურ მოპყრობას.

2. გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობა

123. სასამართლო მიიჩნევს, რომ სამედიცინო დასკვნა განმცხადებლის ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების შესახებ, განმცხადებლის უდავო პრეტენზია, რომ დატოვეს ეზოში, დახმარების გარეშე, მთელი ღამის განმავლობაში – მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ეს ამბავი შეიტყო ჯერ კიდევ ღამის პირველ საათზე – წარმოშობს არასათანადო მოპყრობის „დასაბუთებად პრეტენზიას“. შესაბამისად, ხელისუფლება ვალდებულია, ჩაატაროს ინციდენტთან დაკავშირებული გარემოებების ეფექტიანი გამოძიება. შემდგომი ანალიზის მიზნით, სასამართლო უბრუნდება გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ზემოთ, მე-100 მუხლში.
124. უპირველესად, სასამართლო შენიშნავს, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა ძალიან გვიან დაიწყეს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლებრივი გამოძიება. პოლიციის ოფიცრების – ჟაროვისა და ვოლკოვის – ქცევასთან დაკავშირებული მასალა განმცხადებელზე თავდასხმის საქმეს გამოეყო მხოლოდ 2002 წლის 6 იანვარს, მომხდარი მოვლენებიდან 6 თვის შემდეგ, თანაც მხოლოდ განმცხადებლის დედის საჩივრის პასუხად. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობასთან დაკასირებულ საქმეებში ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით, შემთხვევის მათ ყურამდე მიღწევითანავე, და არა მსხვერპლის ნათესავთა ინიციატივის კვალად (იხ. ზემოხსენებული საქმე *Paul and Audrey Edwards*, § 69). პირველადი მოკვლევა შეწყდა იმ არაგონივრული ფაქტის საფუძველზე, რომ პოლიციელები თითქოსდა „ობიექტურად შეცდნენ“ განმცხადებლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით – მიეხედა საკუთარი თავისთვის – მიუხედავად იმისა, რომ იგი უგონოდ იყო. რეალურად სისხლის სამართლებრივი გამოძიება დაიწყო 2002 წლის 15 მარტს – მას შემდეგ, რაც ზედამხედველმა პროკურორმა განიხილა და გააუქმა ეს გადაწყვეტილება.
125. სასამართლო კმაყოფილია იმით, რომ დაწყების შემდეგ სისხლის სამართალწარმოება წარიმართა მეტ-ნაკლები გულმოდგინებით და საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო 1 წლის შემდეგ. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ამ სისწრაფეს ჰქონდა უკანა მხარე – შეზღუდული და არასრული გამოძიება. საქმისწარმოების მანძილზე მხოლოდ პოლიციის ოფიცრები, ჟაროვი და ვოლკოვი, იყვნენ ექვმიტანილნი. საზოგადოებრივ პროკურორებს არც კი უცდიათ შეემოწმებინათ, ხომ არ მიუძღვით ბრალი განმცხადებლისათვის დროული დახმარების აღმოუჩენლობაში მორიგეს პოლიციის განყოფილებაში – რომელმაც სთხოვა არაკომპეტენტურ თანამშრომელს, შეეცვალა იგი – ან თავად შემცვლელს, ბ-ნ ვანჩარინს.
126. დანამდვილებით ვერ დგინდება, იყო თუ არა დაცული განმცხადებლის უფლება, მიეღო ეფექტიანი მონაწილეობა გამოძიებაში. საყოველთაო აღიარებით, 2002 წლის 5 სექტემბერს მას მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი

საქმისწარმოებაში და ამ პროცედურული სტატუსის თანმხლები უფლებები. თუმცა, როგორც ჩანს, გამომძიებელმა არც პასუხი მოძებნა და არც გადაწყვეტილება მიიღო მის დეტალურ და დასაბუთებულ მოთხოვნაზე, რომ სხვა სამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცათ ბრალდებულთა ქცევისათვის, ან მის განცხადებაზე, შეერთებოდა სამართალწარმოებას როგორც სამოქალაქო მხარე. ორივე ეს მოთხოვნა განმცხადებელმა წარადგინა 2002 წლის 27 ნოემბერს და გამომძიებელმა ისინი მიიღო იმავე დღეს.

127. გარდა ამისა, ისე მოხდა, რომ საქმე ჩავარდა სასამართლოში, რადგან ბრალდების მხარემ ვერ მოამზადა მტკიცებულებებით გამყარებული საფუძველი საქმის სასამართლო განხილვისათვის. ასე მაგალითად, ოფიცრების – ჟაროვისა და ვოლკოვის – ბრალდების ერთ-ერთი ელემენტი გახლდათ არასწორი ინფორმაციის მიწოდება „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებაში, რომ მათ თითქოსდა ყველანაირი ზომა მიიღეს. თუმცა, საზოგადოებრივ პროკურორებს არ დაუპირისპირებიათ ერთმანეთთან ისინი და ბ-ნი ვანჩარინი, ერთი მხრივ, და ბ-ნი ვანჩარინი და მორიგე ოფიცერი, მეორე მხრივ, რათა აღმოეფხვრათ შეუსაბამოზანი მათ ჩვენებებში. საბოლოოდ, სასამართლომ უარყო ბ-ნი ვანჩარინის ჩვენება, როგორც არასარწმუნო, რადგან ის მოიქცა არსებული წესების დარღვევით და, ამდენად, პირადად იყო დაინტერესებული სიმართლის შენიღბვით. ის, რომ ბრალდების მხარემ გადაჭარბებული მნიშვნელობა მიანიჭა ბ-ნ ვანჩარინის ჩვენებას, როგორც მტკიცებულებას, ცხადი შედეგია ზემოთ მოყვანილი შეცდომისა – გამოეძიებინათ პოლიციის ოფიცრების ქცევა „სოკოლინაია გორას“ პოლიციის განყოფილებაში.
128. საბოლოოდ, სასამართლოს აზრით, საოლქო სასამართლოს დასკვნები არ შეესაბამება ფაქტებს – როგორც ეს დადგინდა სამართალწარმოებისას – იმდენად, რამდენადაც მან დაასკვნა, თითქოსდა პოლიციის ოფიცრებს, ჟაროვსა და ვოლკოვს, არ შეიძლება სცოდნოდათ, რომ განმცხადებლის მდგომარეობა იყო სიცოცხლისათვის საშიში, რადგან მათ „შემთხვევის ადგილზე მხოლოდ რამდენიმე წუთი დაჰყვეს, ისიც ღამით, და დაზიანებები შესამჩნევი არ იყო“. ეს დასკვნა ნაკლოვანია იმ უდავო ფაქტის გამო, რომ განმცხადებელი იყო უგონოდ და არ შეეძლო თავისით გადაადგილება. სწორედ ამ მიზეზით მოუწიათ ოფიცრებს მისი გზიდან გადართევა. განმცხადებლის უგონოდ ყოფნა – რაზეც ოფიცრები არ კამათობენ – არის ფაქტი, რომელიც აშკარად არ შეესაბამება დასკვნას, რომ მისი მდგომარეობის სიმძიმე და მისი სიცოცხლის რისკი შეუმჩნეველი დარჩა. მოსკოვის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საქმე აპელაციაზე, არ უპასუხა ფაქტობრივ უზუსტობებს, რაზეც სასამართლო განხილვამ დააყრდნო სასამართლოს გამართლება.
129. ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე, სასამართლო ადგენს, რომ გამოძიება სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე დაიწყო დაგვიანებით,

მისი ფარგლები იყო არასაკმარისი და განმცხადებლის პროცედურული უფლებები არ დაუცავთ, სამართალწარმოებას კი აკლდა მყარი მტკიცებულებები და ფაქტობრივი მასალა. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საკითხის გამოძიება არ შეიძლება ჩაითვალოს „ეფექტიანად“. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარე, რადგან ხელისუფლებამ ვერ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება განმცხადებლის პრეტენზიის პასუხად, რომ ის პოლიციამ მიატოვა დახმარების გარეშე.

III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

130. განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-13 მუხლის საფუძველზე, რომ მას არ მისცეს საშუალება, შეერთებოდა პოლიციის ოფიცრების – ჟაროვისა და ვოლკოვის – სისხლის სამართალწარმოებას როგორც სამოქალაქო მხარე, რომ მათი გამართლება არ იყო სათანადოდ დასაბუთებული და სამართალწარმოებას შავ ლაქად აჩნდა პროცედურული ნაკლოვანებანი. სასამართლო არკვევს, რომ ერთადერთი, რითაც ეს საჩივარი განსხვავდება ზემოთ უკვე განხილული საკითხებისაგან – მე-3 მუხლის პროცედურული მხარის დარღვევის კუთხით – არის განმცხადებლის საჩივარზე სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების შესაძლებლობა, კომპენსაცია სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამო. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საჩივარი უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე (იხ. *Chember v. Russia*, no. 7188/03, § 66, 3 ივლისი 2008, და *Betayev and Betayeva v. Russia*, no. 37315/03, § 125, 29 მაისი 2008), რომელიც იკითხება შემდეგნაირად:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა“.

131. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა ეფექტიანი შესაძლებლობა, წარედგინა სამოქალაქო საჩივარი კომპენსაციის მიღებისათვის, რადგან ადგილობრივ სასამართლოებს არავის ბრალი არ დაუდგენიათ. რამდენადაც არავინ გაასამართლეს, რუსეთის სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, სამოქალაქო სარჩელიც არ შედგა.

132. მთავრობამ განმარტა, რომ განმცხადებელმა არ წარადგინა მოთხოვნა, შეერთებოდა სამართალწარმოებას, როგორც სამოქალაქო მხარე, წინასწარი გამოძიების სტადიაზე. მან ეს მოითხოვა საქმის სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ. სასამართლომ სწორად უარყო ეს მოთხოვნა

და დასტურად მოიშველია იმდროინდელი სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლი, რომელიც ამგვარ მოთხოვნას უშვებს წინასწარი გამოძიების დასრულებამდე. მას შემდეგ, რაც 44-ე მუხლი შესწორდა 2003 წლის 4 ივლისის ფედერალური კანონმდებლობით და მოთხოვნის წარდგენა გაგრძელდა სასამართლო განხილვის დასრულებამდე, განმცხადებელს ის ხელახლა არ წარუდგენია. აქედან გამომდინარე, განმცხადებელს ჰქონდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, რაც მას არ გამოუყენებია.

A. დაშვებადობა

133. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. გარდა ამისა, იგი არ არის დაუშვებელი რომელიმე სხვა საფუძველზე. ამდენად, ის უნდა გამოცხადდეს დაშვებულად.

B. საქმის არსებითი მხარე

134. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენციით ეროვნულ დონეზეა გარანტირებული სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, რათა გატარდეს ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების არსი და დაცული იყოს ეროვნული სამართალით. აქედან გამომდინარე, მე-13 მუხლის საფუძველზე შესაძლებელია ეროვნული სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების მოთხოვნა, რათა გაირკვეს კონვენციის საფუძველზე აღძრული „დასაბუთებული სასარჩელო მოთხოვნის“ არსი და გაეწიოს სათანადო დახმარება. ამასთან, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ ერთგვარი დისკრეცია, თუ როგორ დაექვემდებარონ კონვენციის დებულებათა ვალდებულებებს. მე-13 მუხლის ვალდებულებათა ფარგლები განსხვავდება განმცხადებლის მიერ კონვენციის საფუძველზე აღძრული საჩივრის მიხედვით. მიუხედავად ამისა, სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალება, რომელიც სავალდებულოა მე-13 მუხლის თანახმად, უნდა იყოს „ეფექტიანი“ პრაქტიკაშიც და სამართალშიც (იხ. *Cobzaru v. Romania*, no. 48254/99, §§ 80-82, 26 ივლისი 2007; *Anguelova v. Bulgaria*, no. 38361/97, §§ 161-162, ECHR 2002-IV; და *Süheyla Aydın v. Turkey*, no. 25660/94, § 208, 24 მაისი 2005).
135. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება პასუხისმგებელია განმცხადებლის არასათანადო მოპყრობაზე – ეს არის

შედეგი იმისა, რომ პოლიციის ოფიცრებმა არ აღმოუჩინეს მას დახმარება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. ამდენად, განმცხადებელს ჰქონდა „დასაბუთებული სასარჩელო მოთხოვნა“ მე-13 მუხლის მიზნებისათვის და ხელისუფლება ვალდებული იყო, ჩაეტარებინა ეფექტიანი გამოძიება პოლიციის ოფიცრების მიმართ მისი პრეტენზიების პასუხად. ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩატარდა ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი გამოძიება მე-13 მუხლის შესაბამისად, რომლის მოთხოვნებიც უფრო ფართოა, ვიდრე მე-3 მუხლით დაკისრებული გამოძიების ვალდებულება (იხ. ზემოხსენებული *Cobzaru*-ს საქმე, § 83, და, *mutatis mutandis*, *Buldan v. Turkey*, no. 28298/95, § 105, 20 April 2004, და *Tanrikulu v. Turkey*, no. 23763/94, § 119, ECHR 1999-IV).

136. გარდა ამისა, რაც შეეხება სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას, სასამართლო არ მიიჩნევს აუცილებლად, განსაზღვროს, ჰქონდა თუ არა საშუალება განმცხადებელს, რომ სისხლის სამართალწარმოებას შეერთებოდა როგორც სამოქალაქო მხარე. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს სამართალწარმოებები დამთავრდა პოლიციის ოფიცრების გამართლებით. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს: არაერთხელ გამოვლინდა, რომ რუსეთის საქალაქო სასამართლოები არ აღიარებენ პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობას, რის საფუძველზეც დაადგენდნენ სისხლის სამართლის სავარაუდო სერიოზული დანაშაულის არსებით მხარეს ბრალის მტკიცებულებათა არარსებობის შემთხვევაში. სასამართლომ დაასკვნა, რომ მართალია, რუსეთის საქალაქო სასამართლოს თეორიულად აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები, პრაქტიკულად იმდენად მნიშვნელოვანია მანამდელ სისხლის სამართალწარმოებათა დასკვნების წონა, რომ მოსარჩელის ყველაზე დამაჯერებელი მტკიცებულებებიც კი შეიძლება უგულებელყონ. სამართლებრივი დაცვის ამგვარი ეფექტიანი საშუალება იქნება ოდენ თეორიული და ილუზორული, და არა პრაქტიკული და ეფექტიანი – როგორც ამას მოითხოვს კონვენცია (იხ. ზემოხსენებული *Chember*-ის საქმე, § 71; *Menesheva v. Russia*, no. 59261/00, § 77, ECHR 2006-III; *Isayeva v. Russia*, no. 57950/00, § 155, 24 თებერვალი, 2005; და *Isayeva and Others v. Russia*, nos. 57947/00, 57948/00 და 57949/00, § 147, 24 თებერვალი, 2005). იმ საქმეებში, სადაც სისხლის სამართალწარმოება საჯარო მოხელეების მიმართ შეწყდა საქმის სასამართლო განხილვამდე ან დასრულდა გამართლებით,

განმცხადებლისათვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ნებისმიერ სხვა ეფექტიან საშუალებას, ზიანისათვის საჩივრის ჩათვლით, ექნება წარმატების შეზღუდული შანსი და ვერ მიიჩნევა, რომ შეძლებს განმცხადებლის კომპენსაციის უზრუნველყოფას (იხ. *Tarariyeva v. Russia*, no. 4353/03, § 101, ECHR 2006-... (ამონარიდები); *Dedovskiy and Others v. Russia*, no. 7178/03, § 101, 15 მაისი, 2008). წინამდებარე საქმეში სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს, რომ გადაუხვიოს ამ დასკვნას.

137. ამდენად, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელს უარი ეთქვა სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე მის საჩივართან დაკავშირებით – პოლიციის გულგრილობით გამოწვეული არასათანადო მოპყრობის შესახებ. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

IV. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა სავარაუდო სამედიცინო გულგრილობის გამო

138. მე-3 მუხლის საფუძველზე, განმცხადებელი აგრეთვე ჩიოდა, რომ 33-ე საავადმყოფოს ექიმებმა მას არ აღმოუჩინეს მძიმე მდგომარეობისათვის შესაფერისი სამედიცინო დახმარება და ეს ამბავი სათანადოდ არ გამოუძიებიათ.
139. განმცხადებელმა განაცხადა, რომ მისმა დედამ და სხვა ნათესავებმა ნახეს, როგორ იწვა ის შიშველი ბორბლებიან საწოლზე, 33-ე საავადმყოფოს დერეფანში. ამ მდგომარეობაში იყო 2001 წლის 30 ივნისის ადრიაჩი დილიდან, სულ ცოტა, 2001 წლის 1 ივლისის 18:00 სთ-მდე. მას არავინ აქცევდა ყურადღებას, არც სათანადოდ შეუმოწმებია ვინმეს, არც რენტგენი გადაუღიათ. ჩანაწერებში შეიტანეს დიაგნოზი, რომელიც მხოლოდ მისი მეგობრის ჩვენების საფუძველზე დაადგინეს. გარდა ამისა, 33-ე საავადმყოფოში ქირურგიული ოპერაციის დროს, სისხლის გადასხმისას, იგი დაინფიცირდა C ჰეპატიტით. განმცხადებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 33-ე საავადმყოფოში მისი პირველადი მკურნალობისას გამოვლენილი გულგრილობის გამო იგი სამუდამოდ გახდა შეზღუდული შესაძლებლობისა. სახელმწიფო პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო მკურნალობაზე, რადგან 33-ე საავადმყოფო მუნიციპალური დაწესებულებაა, რომელიც სამედიცინო მომსახურებას უწევს ფართო საზოგადოებას.

140. ამასთან, განმცხადებელმა განაცხადა, რომ გამოძიება სავარაუდო სამედიცინო გულგრილობის შესახებ დაიწყო მხოლოდ 12 თვის შემდეგ მომხდარიდან და გაგრძელდა 4 წელიწად-ნახევარს. ამ პერიოდში გამოიტანეს არანაკლებ 7 გადაწყვეტილებისა გამოძიების შეწყვეტის შესახებ, რომლებიც მოგვიანებით შეცვალეს. მისი სამედიცინო ისტორია 33-ე საავადმყოფოდან დაიკარგა. საბოლოოდ, არ გამოვლენილა და არც დასჯილა დამნაშავე სამედიცინო გულგრილობაში. განმცხადებელმა დაასკვნა, რომ გამოძიება არ იყო დროული, საფუძვლიანი და საკმარისი. გარდა ამისა, შეზღუდეს მისი ჩართულობა გამოძიების პროცესში და ის იღებდა უკმარ ინფორმაციას მისი მიმდინარეობის შესახებ.
141. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ განმცხადებლის დედა განუწყვეტილვ ჩიოდა მისი ვაჟისათვის არაადეკვატური მკურნალობის გაწევის გამო 33-ე საავადმყოფოში. მისი საჩივრები განიხილა მოსკოვის მთავრობის ჯანმრთელობის დეპარტამენტმა 2001 წელს, და 2003 წლის 5 მარტს დაიწყო სამართალწარმოება. ცალკე სისხლის სამართლის საქმეს – განმცხადებლის სამედიცინო ისტორიის დაკარგვის შესახებ – იძიებდა აღმოსავლეთის ადმინისტრაციული ოლქის საზოგადოებრივი პროკურატურა. საბოლოოდ, ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ 2006 წლის 30 ნოემბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პროკურორმა დასაჯა გამომძიებელი, ბ-ნი ვოლკი, გამოძიების პროცესში სამედიცინო გულგრილობის საქმეზე სამართალწარმოების დაუსაბუთებელი შეწყვეტის გამო.

A. დაშვებადობა

142. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ განმცხადებელს არ ამოუწურავს სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება, რადგან არ მიმართა მოსკოვის იზმაილოვსკის ოლქის სასამართლოს იმ გადაწყვეტილების საპირისპიროდ, რომლითაც შეწყდა სისხლის სამართალწარმოება ან წარედგინა საჩივარი 33-ე საავადმყოფოს ექიმების წინააღმდეგ.
143. სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემებით, ზედამხედველმა პროკურორმა იმავე დღეს გააუქმა უახლესი გადაწყვეტილება სამედიცინო გულგრილობასთან დაკავშირებული გამოძიების შეწყვეტაზე, თან გამოსცა მითითებები გამოძიებაში სამართლებრივი დაცვის საშუალებათა

ხარვეზებზე (იხ. ზემოთ, 78-ე პუნქტი). რამდენადაც ეს გადაწყვეტილება გაუქმდა, განმცხადებლისათვის აზრი აღარ ჰქონდა სასამართლოში აპელაციის წარდგენას ამ ფაქტის წინააღმდეგ.

144. რაც შეეხება სამოქალაქო სამართალწარმოებით ჩივილის შესაძლებლობას სამედიცინო პერსონალის წინააღმდეგ, სასამართლო კვლავ იმეორებს ზემოთ მოყვანილ დასკვნას: როგორც ჩანს, რუსეთის საქალაქო სასამართლოებს არ შეუძლიათ დაადგინონ არსებითი მხარეები სამოქალაქო საჩივრისა, რომელიც უკავშირდება სავარაუდო სერიოზულ სისხლის სამართლის დანაშაულს, თუკი არ არსებობს მტკიცებულებები ბრალის შესახებ (იხ. ზემოთ, 136-ე პუნქტი). წინამდებარე საქმეში სისხლის სამართალწარმოებას არ მოჰყოლია სასამართლო განხილვა და მსჯავრდება. შესაბამისად, სამოქალაქო საჩივარი არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებად, რომლის გამოყენებასაც განმცხადებელს სთხოვდნენ (კერძოდ, იხ. *Tarariyeva*-ის ზემოთ ხსენებული საქმე, § 101). სასამართლო უარყოფს ხელისუფლების პრეტენზიას სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვის შესახებ.
145. გარდა ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი – კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. ამასთან, იგი არ არის დაუშვებელი რომელიმე სხვა საფუძველზე. ამდენად, ის უნდა გამოცხადდეს დაშვებულად.

B. საქმის არსებითი მხარე

1. შესაბამისობა მე-3 მუხლთან, სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობასთან დაკავშირებით

146. განმცხადებელი იმყოფებოდა 33-ე საავადმყოფოში 2001 წლის 30 ივნისიდან 8 ივლისამდე. მისი საჩივრები არასათანადო სამედიცინო დახმარების შესახებ, უმეტესად, შეეხება საწყის პერიოდს, რომელიც გრძელდებოდა 30 ივნისის 09.00 საათიდან (როცა ის მიიყვანეს საავადმყოფოში) 1 ივლისის 17.30 საათამდე (როცა გაუკეთეს გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია). მან განაცხადა – და ეს განცხადება მთვრობას არ განუხილავს – რომ ამ ხნის განმავლობაში

ის გახდილი იწვა ბორბლებიან საწოლზე საავადმყოფოს დერეფანში, ყოველგვარი ყურადღების გარეშე.

147. სასამართლო აღნიშნავს, რომ 33-ე საავადმყოფოში განმცხადებლისათვის აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების ადეკვატურობა განიხილა ექსპერტთა 2-მა ჯგუფმა. პირველმა ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა ექსპერტებისაგან თავდაცვის სამინისტროს სასამართლო მედიცინის ცენტრიდან, გამოავლინა ბევრი სერიოზული დარღვევა განმცხადებლის სამედიცინო შემოწმებისა და მკურნალობის პროცესში. მეორე ჯგუფმა მოსკოვის მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტიდან უარყო პირველი კომისიის დასკვნები, მიიჩნია რა ისინი არასანდოდ, და დაადგინა, რომ 33-ე საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალმა სავსებით სწორად შეიკავა თავი რაიმე ტიპის ჩარევისაგან იმ დრომდე, სანამ შესაძლებელი არ გახდა ქირურგიული ოპერაცია თავის ტვინზე. ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნის არსებობის გამო, გამოძიება შეეცადა შეემუშავებინა რაღაც „შემრიგებლური“ ვარიანტი; თუმცა, ეს შუძლევადი აღმოჩნდა, რადგან არ არსებობდა განმცხადებლის სამედიცინო ისტორია 33-ე საავადმყოფოდან.
148. სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით არსებული ორი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნის გამო სასამართლო მიიჩნევს, რომ შემდეგი ელემენტები შესაძლებელს გახდის განვსაზღვროთ, რომელ ანგარიშს უნდა მიენიჭოს მეტი სანდოობა. პირველ რიგში, თავდაპირველი სამედიცინო შემოწმება ჩატარდა ნამდვილი სამედიცინო ისტორიის საფუძველზე, მაშინ, როცა მეორე კომისიას ხელთ ჰქონდა მხოლოდ ამონარიდები იმ ისტორიიდან – ის ციტატები, რომლებიც მოყვანილი იყო პირველ ანგარიშში. სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს რუსეთის სასამართლო მედიცინის ფედერალური ცენტრის დირექტორის მოსაზრებას, რომლის თნახმადაც, სასამართლო მედიცინის პროფესიულ მეთოდებსა და სტანდარტებთან შეუსაბამოა მოკვლევა მხოლოდ წინა კომისიის დასკვნებზე დაყრდნობით (იხ. ზემოთ, 74-ე პუნქტი). მეორეც, სასამართლო შენიშნავს, რომ პირველი კომისიის ექსპერტები მუშაობდნენ თავდაცვის სამინისტროში – სახელმწიფო ორგანოში, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს არც სამედიცინო დაწესებულებასთან, არც საგამომძიებლო ორგანოსთან. ამის

საწინააღმდეგოდ, მეორე კომისია მიანდეს მოსკოვის მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს. ეს იყო ორგანო, რომელსაც ევალებოდა მოსკოვის ყველა საავადმყოფოს მომარაგება და ზედამხედველობა, მათ შორის, 33-ე საავადმყოფოსიც. ეს ვითარება აშკარად წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს და შეუთავსებელია იმ მოთხოვნასთან, რომ სასამართლოს ექიმი უნდა სარგებლობდეს ფორმალური და de facto დამოუკიდებლობით (იხ. *Barabanshchikov v. Russia*, no. 36220/02, § 59, 8 იანვარი 2009). ზემოთ მოყვანილ მსჯელობაზე დაყრდნობით, სასამართლო მისი ანალიზის საფუძველად აღიარებს პირველი ექსპერტების ანგარიშს.

149. სასამართლოს ექსპერტების თანახმად, განმცხადებელი 33-ე საავადმყოფოში მიიყვანეს განსაკუთრებით სერიოზულ მდგომარეობაში, რაც საჭიროებდა მომეტებულ სამედიცინო ყურადღებას და დაუყოვნებლივ გამოკვლევას ნეიროქირურგის, ტოქსიკოლოგისა და სხვა სპეციალისტების მხრიდან. ამის ნაცვლად, საავადმყოფომ ის აუცილებელი პროცედურებიც კი ვერ განახორციელა, რაც უნდა ჩაეტარებინათ ახალი პაციენტის შემოსვლის შემთხვევაში. განმცხადებლის მდგომარეობა და მის დაზიანებათა ბუნება და მოცულობა აღწერილია ზედაპირულად და არასრულად. ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დიაგნოზი დაისვა არა სისხლის ან შარდის ანალიზის საფუძველზე, არც ტოქსიკოლოგის შემოწმების შედეგად, არამედ მხოლოდ იმით, რომ სუნთქვისას იგრძნობოდა „ალკოჰოლის სუნი“. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ამტკიცებდნენ, თითქოსდა სისხლში ალკოჰოლის მაღალი და პოტენციურად ლეტალური კონცენტრაცია იყო, არც ჩაუტარებიათ და არც დაუნიშნავთ დეზინტოქსიკაციური ხასიათის მკურნალობა. ნეიროქირურგმა ის მხოლოდ შემოსვლიდან ორი საათის შემდეგ ნახა და მომდევნო 32 საათის განმავლობაში, ვიდრე დაიწყებოდა მისი მომზადება გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციისათვის, განმცხადებელი არსებითად უყურადღებოდ დატოვეს. ის „ობიექტურად და სათანადოდ“ არ შეუფასებია არც ერთ სპეციალისტს, რენტგენული გამოკვლევა დაუნიშნეს, მაგრამ არ ჩაუტარეს და ტემპერატურაც კი არ გაუზომეს.
150. ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ განმცხადებელს გაუჭიანურეს სათანადო დახმარების აღმოჩენა, ასევე, არც შესაბამისად და სწრაფად შეამოწმეს მისი მდგომარეობა 33-ე საავადმყოფოში

მიყვანამდე, რამაც მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია. თავის ტვინში მიმდინარე ცვლილებები იმდენად შეუქცევადი და მძიმე აღმოჩნდა, რომ სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, აუცილებელი გახდა ქირურგიული ჩარევა. ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქირურგიული ჩარევაც დააგვიანეს, რადგან არ აკვირდებოდნენ განმცხადებლის გაუარესებულ მდგომარეობას. შემდეგ, პოსტოპერაციულ მდგომარეობაში არათანმიმდევრული ანტიბაქტერიული მკურნალობისა და არასათანადო კონტროლის გამო, განვითარდა ჭრილობების პოსტოპერაციული ანთებითი პროცესი და კუნთების ოსტეომიელიტი. სასამართლო შენიშნავს: ექსპერტები ეთანხმებიან, რომ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი განმცხადებლისათვის 33-ე საავადმყოფოში ჩატარებული მკურნალობის ხარვეზებსა და შემდგომ უნარშეზღუდულობას შორის. ასევე, ისინი შეთანხმდნენ, რომ გაზომვის შესაბამისი მეთოდების არარსებობის გამო შეუძლებელია იმის დადგენა, რა მოცულობით უკავშირდება განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა არასწორ მკურნალობასა და ზედამხედველობას და რამდენად – მის თავდაპირველ ტრავმას, თუმცა შეთანხმდნენ იმაზე, რომ 33-ე საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის მძიმე შეცდომებმა „ხელი შეუწყო არასასურველი შედეგის“ დადგომას.

151. ექსპერტთა ზემოთ მოყვანილი დასკვნების საფუძველზე, რომელთა გაქარწყლებაც ვერ შეძლო მთვრობამ, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსკოვის 33-ე საავადმყოფოში განმცხადებლისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურება იყო არაადეკვატური. ამდენად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი ხელისუფლების მხრიდან, რომელმაც ვერ შეძლო უზრუნველყო განმცხადებლისათვის სათანადო სამედიცინო მომსახურება.

2. გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობა

152. სასამართლო შენიშნავს, რომ ხელისუფლება, დადგა რა თავად განმცხადებლისა და მისი დედის ბრალდების წინაშე – აშკარა სამედიცინო გულგრილობის შესახებ, რასაც ადასტურებდა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული დაზიანება – ვალდებული იყო, ეფექტიანად გამოეძიებინა, რა სახისა

და მასშტაბის მკურნალობა ჩაუტარეს განმცხადებელს 33-ე საავადმყოფოში. შემდგომი ანალიზის მიზნით, სასამართლო ეყრდნობა გამოძიების ეფექტიანობის მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია მე-100 პუნქტში, ზემოთ.

153. მხარეები შეთანხმდნენ იმ საკითხზე, რომ იქიდან მოყოლებული, რაც განმცხადებლის დედის ინიციატივით, პაციენტი გადაიყვანეს 33-ე საავადმყოფოდან ბურდენკოს ჰოსპიტალში, დედამისი განუწყვეტლივ ჩიოდა 33-ე საავადმყოფოში არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების შესახებ. ყველა მისი საჩივარი უარყვეს ჯანდაცვის ადმინისტრაციის მოხელეებმა და საზოგადოებრივმა პროკურორებმა სხვადასხვა სამსახურიდან. სისხლის სამართლებრივი საქმე დაიწყო მხოლოდ 2003 წლის 5 მარტს, უკვე 2 წლის შემდეგ მომხდარიდან. სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსეთის ხელისუფლება პასუხისმგებელია სისხლის სამართალწარმოების დაწყების გაჭიანურებაზე, აგრეთვე იმაზე, რომ არ იმოქმედა მყისიერად და საქმე მის დინებაზე მიუშვა, მხოლოდ მსხვერპლის ნათესავების ინიციატივის ამარად დატოვა (იხ. *Paul and Audrey Edwards-ის ზემოხსენებული საქმე*, § 69).
154. გამოძიების წარმართვის მანერა აჩვენებს, რომ საგამოძიებო ორგანოები ესწრაფოდნენ საკითხის ნაჩქარევად და ზერელედ გადაწყვეტას. საქმე გადაეცემოდა ხელისუფლებიდან გამოძიებას და უკან. გამოძიება რეგულარულად ცდილობდა, შეეწყვიტა სისხლის სამართალწარმოება, თითქოსდა პროცედურულ საფუძველზე. სამი წლის განმავლობაში გამოვიდა არანაკლებ ათი გადაწყვეტილებისა სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, რომელთაგან ყველა სასწრაფოდ გააუქმეს ზედამხედველმა პროკურორებმა იმიტომ, რომ მანამდე ჩტარებული გამოძიება იყო არასრული და არასაკმარისი. რამდენიმე გამომძიებელს გამოუცხადეს საყვედური ან დასაჯეს იმის გამო, რომ სათანადოდ არ წარმართეს გამოძიება, სისხლის სამართლის პროცესის წესების შესაბამისად.
155. არც ის იყო უარყოფილი, რომ გამოძიება ასევე პასუხისმგებელია მტკიცებულებათა მსხვილი ნაწილის, კერძოდ, განმცხადებლის სამედიცინო ისტორიის დაკარგვაზე 33-ე საავადმყოფოდან. ამ ისტორიის გაქრობით შეუძლებელი გახდა მომდევნო რაიმე სახის სასამართლო ექსპერტიზა ან იმის დადგენა, რა მიზეზ-შედეგობრივი

კავშირი თუ ბმები არსებობს განმცხადებლისათვის 33-ე საავადმყოფოში გაწეულ არაადეკვატურ მკურნალობასა და მისი ჯანმრთელობის ზიანს შორის.

156. დაბოლოს, არ იყო დაცული განმცხადებლის სისხლის სამართალწარმოებაში ეფექტიანი მონაწილეობის უფლება. ის მსხვერპლად ცნეს მხოლოდ 2005 წლის 6 სექტემბერს, სისხლის სამართალწარმოების დაწყებიდან ორწელიწად-ნახევრის შემდეგ. ამ თარიღამდე მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, გამოეყენებინა ამ სტატუსთან დაკავშირებული პროცესუალური უფლებები, როგორცაა ექსპერტებისათვის შეკითხვის დასმის უფლება (შეადარეთ ზემოხსენებულ *Tarariyeva*-ს საქმეს, § 93).
157. ზემოთ აღნიშნული ძალიან სერიოზული ნაკლოვანებების შუქზე, სასამართლო ასკვნის, რომ გამოძიება არ იყო დაუყოვნებელი, ზუსტი და ყოველმხრივ ამომწურავი. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარე იმ თვალსაზრისით, რომ გამოძიება სავარაუდო სამედიცინო გულგრილობის გარშემო არ იყო ეფექტიანი.

V. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

158. დაბოლოს, განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, რომ თავდასხმისა და სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო – პოლიციის ოფიცრებისა თუ ექიმების მხრიდან – დაირღვა მისი ხელშეუხებლობის უფლება. გარდა ამისა, იგი ჩიოდა კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე, სამედიცინო ისტორიის დაკარგვის გამო.
159. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი არასოდეს ყოფილა თავისუფლებადკვეთილი და მისი სამედიცინო ინფორმაცია არ გამჟღავნებულა. შესაბამისად, ეს საჩივრები *ratione materiae* შეუთავსებელია კონვენციის დებულებებთან კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით და უკუგდებული უნდა იყოს 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

VI. კონვენციის 34-ე მუხლით გარანტირებული ინდივიდუალური განაცხადის წარდგენაში ხელის შეშლის სავარაუდო დარღვევა

160. 2007 წლის 29 მარტს განმცხადებელმა წარმოადგინა განაცხადი, რომელშიც გამოთქვამდა პრეტენზიას, რომ მთავრობამ მოახდინა მასზე ზეწოლა

კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევით. კერძოდ, იგი ჩიოდა, რომ მას მიაყენეს შეურაცხყოფა, როცა აღნიშნეს, რომ იყო ინტოქსიკაციის მდგომარეობაში; როცა შეცდომით დაარეგისტრირეს მოსკოვის ფსიქონევროლოგიურ სპეციალიზებულ კლინიკაში; როცა ხელისუფლება ცდილობდა, რომ სამედიცინო ისტორია გამოეთხოვათ დედამისისთვის; როცა დედამისი დასაჯეს მის სამუშაო ადგილზე და როცა მას, 23 წლის რომ გახდა, მოუხსნეს სახელმწიფო შეღავათები, რომლებიც ჰქონდა მამამისის, სამხედრო ოფიცრის გარდაცვალების შემდეგ.

161. განიხილა რა განმცხადებლის არგუმენტები, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ისინი ადასტურებენ კონვენციის 34-ე მუხლით გარანტირებული ინდივიდუალური განაცხადის წარდგენაში ხელისშემშლის სავარაუდო დარღვევას. შესაბამისად, სასამართლო უკუაგდებს ამ განაცხადს, როგორც დაუსაბუთებელს.

VII. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

163. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად,
„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

A. ზიანი

164. პირველი, განმცხადებელი ითხოვდა საზღაურს მატერიალური ზიანისათვის, რაც მას მიაღება 2001 წლის 29 ივნისს განხორციელებული თავდასხმისა და არასწორი სამედიცინო დახმარების შედეგად მიღებულ დაზიანებათა მკურნალობისას. მან აღნიშნა, რომ სჭირდებოდა ექთნის ყოველდღიური მომსახურება (წელიწადში, დაახლოებით, 13,500 ევრო), მუდმივი მედიკამენტური მკურნალობა (წელიწადში 2,000 ევრო), ფიზიოთერაპია და რეგულარული სამედიცინო კონტროლი (წელიწადში 13,925 ევრო), რეაბილიტაციის კურსი გერმანიასა ან ავსტრიაში (13,200 ევრო ორ წელიწადში ერთხელ) და სამედიცინო აღჭურვილობა (2,000 ევრო). გარდა ამისა, იგი აცხადებდა, რომ დაკარგა პერსპექტივა და შემოსავალი, ღირებულებით – 7,000 ევრო წელიწადში. ამ თანხების გამრავლებით სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობაზე – 30 წელზე – განმცხადებელი ითხოვდა მატერიალური ზიანის ანაზღაურებას 1,292,750

ევროთი. გარდა ამისა, იგი ითხოვდა 200,000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის.

165. მთავრობამ განაცხადა, რომ გამოძიება თავდასხმასა და სამედიცინო დახმარების საქმეებზე ჯერ არ იყო დასრულებული. შესაბამისად, განმცხადებელს ჰქონდა უფლება, კომპენსაცია მოეთხოვა ადგილობრივ დონეზე და, აქედან გამომდინარე, მატერიალური ზიანისათვის საზღაურის მოთხოვნა ნაადრევი იყო. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ განმცხადებელს დაენიშნა ინვალიდობის პენსია და 2003 წელს მას დაუფინანსეს მგზავრობა სპა კურორტზე, მისცეს რუსული წარმოების მანქანა. მთავრობის აზრით, უსაფუძვლოა განცხადება შემოსავლების დაკარგვასთან დაკავშირებით, რადგან ის შეეხება „მომავალ სავარაუდო შესაძლებლობებს“. დაბოლოს, მთავრობამ მიიჩნია, რომ გადაჭარბებული იყო მოთხოვნა არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის და არ შეესაბამებოდა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.
166. სასამართლო იმეორებს, რომ ზუსტი თანხის განსაზღვრას, რაც აუცილებელია განმცხადებლის მატერიალური ზიანის სრულად ასანაზღაურებლად (*restitutio in integrum*), შეიძლება ხელი შეუშალოს დარღვევიდან გამომდინარე ზიანის არსობრივად გაურკვეველმა ბუნებამ (იხ. *Young, James and Webster v. the United Kingdom (former Article 50)*, 18 ოქტომბერი 1982, Series A no. 55, § 11). მიუხედავად ბევრი განუსაზღვრელი ფაქტორისა შესაძლო მომავალი დანაკარგების შეფასებისას, კომპენსაციის მიკუთვნება მაინც შესაძლებელია. რაც მეტი იქნება დროის შუალედი, მით უფრო გაურკვეველი გახდება კავშირი დარღვევასა და ზიანს შორის (იხ. *Orhan v. Turkey*, no. 25656/94, §§ 426 et seq., 18 ივნისი, 2002). ამგვარ საქმეებში უნდა გადაწყდეს სამართლიანი დაკმაყოფილების დონე მატერიალური დანაკარგებისათვის, იქნება ეს წარსულში თუ მომავალში, რისი მიკუთვნებაც აუცილებელია განმცხადებლისათვის. ეს უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ მისი შეხედულებისამებრ, იმის გათვალისწინებით, რაც სამართლიანია (იხ. *Sunday Times v. the United Kingdom (former Article 50)*, 6 ნოემბერი, 1989, Series A no. 38, § 15, და *Lustig-Prean and Beckett v. the United Kingdom (Article 41)*, nos. 31417/96 და 32377/96, §§ 22-23, ECHR 2000).
167. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ზოგიერთ მანამდელ საქმეში, სადაც დადგა მომავალი შემოსავლების დაკარგვის საკითხი, სასამართლომ თავისი გამოთვლები დააყრდნო იმ კაპიტალის აქტუალურ გაანგარიშებებს, რომელიც აუცილებელია შემოსავლის გარკვეული დონის შესანარჩუნებლად, როგორც ეს წარმოადგინეს განმცხადებლის წარმომადგენლებმა (იხ. *Aktaş v. Turkey*, no. 24351/94, § 350, ECHR 2003-V, და ზემოხსენებული *Orhan-ის საქმე*, § 433). იმავე მიდგომის გამოყენება შესაძლებელია მომავალი დანახარჯების გამოთვლისას. თუმცა, წინამდებარე საქმეში განმცხადებელმა მოითხოვა თანხა, რომელიც მიიღო

წლიური სამედიცინო დანახარჯების მარტივი გამრავლებით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე რუსეთში. მომავალი შემოსავლის დანაკარგიც ანალოგიურად დაიანგარიშა.

168. აქედან გამომდინარე, თუნდაც ჩაითვალოს, რომ განმცხადებლის მოწოდებული გაანგარიშება და მონაცემები სწორია, სასამართლო მიიჩნევს: წინამდებარე საქმეში გამოყენებული გამოთვლების მეთოდი არ შეესაბამება სასამართლოს მიდგომას მომავალი დანაკარგების დაანგარიშებისადმი (იხ. ზემოხსენებული *Mikheyev-ის საქმე*, § 161). გარდა ამისა, დაკარგული შემოსავლების დაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული ინვალიდობის პენსიით მიღებული თანხები. აქედან გამომდინარე, სასამართლო ვერ მიიღებს განმცხადებლის მოთხოვნილ საბოლოო ციფრებს.
169. მიუხედავად ამისა, განმცხადებლის გაურკვეველი ვითარებისა და იმის გათვალისწინებით, რაც მან განიცადა და განიცდის მომავალში, ასევე, მისი ინვალიდობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალისა და მუდმივი სამედიცინო მკურნალობის აუცილებლობის გათვალისწინებით, სასამართლო წინამდებარე საქმეში მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ განმცხადებელს მიეკუთვნოს კომპენსაცია მატერიალური ზიანისათვის – ვითარების მისეული შეფასების შესაბამისად (იხ. ზემოხსენებული *Mikheyev-ის საქმე*, § 162). განმცხადებლის მდგომარეობის სერიოზულობისა და საგანგებო, მუდმივი მკურნალობის საჭიროების გათვალისწინებით, სასამართლო აკუთვნებს მას 75,000 ევროს მატერიალური ზიანის სანაცვლოდ, პლუს ნებისმიერი გადასახადი, რაც შეიძლება დაეკისროს ამ თანხაზე.
170. გარდა ამისა, სასამართლო იმეორებს თავის დასკვნას, რომ რუსეთის ხელისუფლება პასუხისმგებელია პოლიციის ქმედებებზე, რომელმაც განმცხადებელი მიატოვა დახმარების გარეშე სერიოზული თავდასხმის შემდეგ, ასევე, სამედიცინო პერსონალის შეცდომაზე, აღმოეჩინა მისთვის სათანადო დახმარება უმძიმეს მდგომარეობაში. ხელისუფლებამ არც თავისი მოვალეობა შეასრულა – ეფექტიანად არ გამოიძია განმცხადებელზე თავდასხმის ფაქტი, არც ზემოხსენებული შეცდომები პოლიციისა და სამედიცინო პერსონალის მხრიდან. ამ მოვლენებმა გამოიწვია განმცხადებლის არა მხოლოდ ფიზიკური ტკივილი და განცდები, არამედ უძლურების, ფრუსტრაციის, უსამართლობისა და გაუთავებელი გაურკვევლობის მძაფრი განცდა, რაც იმსახურებს კომპენსაციას არამატერიალური ზიანისათვის (იხ. სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, *Varnava and Others v. Turkey* [GC], nos. 16064/90, 16065/90, 16066/90, 16068/90, 16069/90, 16070/90, 16071/90, 16072/90 და 16073/90, § 224, 18 სექტემბერი, 2009). შეაფასა რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლომ განმცხადებელს მიანიჭა

78,000 ევრო არამატერიალური ზიანისათვის, პლუს ნებისმიერი გადასახადი, რაც შეიძლება დაეკისროს ამ თანხაზე.

B. ხარჯები და დანახარჯები

171. განმცხადებელმა არ მოითხოვა ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება. შესაბამისად, არ არის საჭირო საზღაურის დაწესება ამ მნიშვნელობით.

C. საურავი

172. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. *აცხადებს* განმცხადებელზე თავდასხმის გამოძიების არაადეკვატურობასთან, პოლიციისა და სამედიცინო პერსონალის მხრიდან დახმარების ნაკლებობასთან, ამ საკითხების არაადეკვატურ გამოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს არსებით განხილვაზე დაშვებულად, ხოლო განაცხადის დარჩენილ ნაწილს – დაუშვებლად;
2. *ადგენს*, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი იმის გამო, რომ ხელისუფლებამ არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება განმცხადებელზე თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით;
3. *ადგენს*, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი იმის გამო, რომ პოლიციამ არ აღმოუჩინა დახმარება განმცხადებელს;
4. *ადგენს*, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი იმის გამო, რომ ხელისუფლებამ არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება პოლიციის ქმედებათა ირგვლივ;
5. *ადგენს*, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი;

6. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლისათვის 33-ე საავადმყოფოში გაწეული სამედიცინო მომსახურების არაადეკვატურობის გამო;
7. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი იმ მიზეზით, რომ ხელისუფლებამ არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება სავარაუდო სამედიცინო გულგრილობის ირგვლივ;
8. ადგენს, რომ კონვენციის 34-ე მუხლით გარანტირებული ინდივიდუალური განაცხადების შეტანას დაბრკოლება არ შეჰქმნია;
9. ადგენს
 - (ა) რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, გადაუხადოს განმცხადებელს 75,000 ევრო (სამოცდათხუთმეტი ათასი ევრო) მატერიალური ზარალის სანაცვლოდ და 78,000 ევრო (სამოცდათვრამეტი ათასი ევრო) არამატერიალური ზარალის სანაცვლოდ სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა გადაწყვეტილება გახდება საბოლოო, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პლუს ნებისმიერი სახის გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა, რუსულ რუბლებში, გადახდის დღეს არსებული კურსით;
 - (ბ) რომ ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, გადახდის დღემდე, ამ თანხაზე დაეკისრება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისთვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი;
10. უარყოფს განმცხადებლის სხვა პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობითი სახით 2009 წლის 17 დეკემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სორენ ნილსენი
რეგისტრატორი

ქრისტოს როზაკისი
პრეზიდენტი